



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

25
წელი

პრეცედენტული
გადაწყვეტილებები

წინამდებარე დოკუმენტის დაკაბადონება და დაბეჭდვა დაფინანსდა პროექტით „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“, რომელიც თანადაფინანსებულია ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ, პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის II 2019-2022 ფარგლებში. მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა ჩაითვალოს რომელიმე მხარის ოფიციალურ პოზიციად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი ორგანო, 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის საფუძველზე შეიქმნა და უფლებამოსილების განხორციელება 1996 წელს, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მიღების შემდეგ დაიწყო. 2021 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამოქმედებიდან 25 წელი გავიდა.

დროის ამ მანძილზე საკონსტიტუციო სასამართლომ ინსტიტუციური განვითარების დიდი გზა განვლო. უკანასკნელ წლებში არსებითად დაიხვეწა სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობისა და ხელმისაწვდომობის ხარისხი. გაზრდილი მიმართვიანობის ფონზე გაუმჯობესდა სამართალწარმოების როგორც პროცედურული წესები, ასევე საქმისწარმოების ადმინისტრირება.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა არაერთი პრეცედენტული გადაწყვეტილება, რომელმაც ღირებული წვლილი შეიტანა საქართველოს სამართლებრივი სისტემის განვითარების, კონსტიტუციის უზენაესობისა და სტაბილურობის განმტკიცების პროცესში და, სხვა საკითხებთან ერთად, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ინდივიდის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში.

დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება თამამად ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს კონსტიტუციური მართლწესრიგისა და ფუნდამენტური უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ სახელმწიფო ორგანოს. როგორც ლიბერალური დემოკრატიის იდეოლოგიურ პირმშოს, საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი წვლილი



შეაქვს საქართველოში დემოკრატიული ცნობიერების შეუქცევადი ზრდის, სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარების პროცესში.

წინამდებარე კრებული წარმოადგენს გაგრძელებას 2016 წელს მომზადებული საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების გამოცემისა, რომელიც აერთიანებს 2016 - 2021 წლებში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული პრეცედენტული მნიშვნელობის 18 გადაწყვეტილების მიმოხილვას. ამასთანავე, იგი მოიცავს საკონსტიტუციო სამართალწარმოების სტატისტიკურ ინფორმაციას.

კრებული გამოსადეგი წყარო იქნება პროფესიული წრეების, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტების, ასევე, ზოგადად, კონსტიტუციური კონტროლით დაინტერესებული პირებისთვის და აამაღლებს ცნობიერებას საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მიმართ.

მერაბ ტურავა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე

„ბიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
№12/1/1289, 2021 წლის 15 ივლისი..... 14

„ბიორგი ებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
№2/2/1276, 2020 წლის 25 დეკემბერი 16

„ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
№3/2/1473, 2020 წლის 25 სექტემბერი 23

ბანსხვაგვებუი აზრი
№3/2/1473 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით26

„ა(ა)იკ მოქალაქეთა კოლიტიკური გაერთიანება „ახალი
კოლიტიკური ცენტრი“, ჰერმან საბო, გურაბ ბირჩი ჯაფარიძე
და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
№3/3/1526, 2020 წლის 25 სექტემბერი 27

ბანსხვაგვებუი აზრი
№3/3/1526 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (1).....31

ბანსხვაგვებუი აზრი
№3/3/1526 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (2) 33

„საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს
პარლამენტის წინააღმდეგ“ **№1/6/770, 2019 წლის 2 აგვისტო**..... 35

„ა(ა)იკ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იკ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს კარლამენტის წინააღმდეგ“
№1/4/693,857, 2019 წლის 7 ივნისი 39

„შპს „სკს“ საქართველოს კარლამენტის წინააღმდეგ“
№1/1/655, 2019 წლის 18 აპრილი 44

„საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“
№2/4/665,683, 2018 წლის 26 ივლისი 46

„საქართველოს მოქალაქეები - მარინე მიზანდარი, ბიორგი ჩიტიძე და ანა ჭიჭურაძე საქართველოს კარლამენტის წინააღმდეგ“ **№2/6/1216, 2018 წლის 27 ივლისი** 49

„საქართველოს მოქალაქე დავით მაღალია საქართველოს კარლამენტის წინააღმდეგ“
№2/7/779, 2018 წლის 19 ოქტომბერი 52

„სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები - გარნიკ ვარდერესიანი, არტავაზდ ხაჩატრიანი და ანი მინასიანი საქართველოს კარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“
№2/9/810,927, 2018 წლის 7 დეკემბერი 56


„საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქელაძე და ბიორგი ბურჯანაძე საქართველოს კარლამენტის წინააღმდეგ“
№2/13/1234,1235, 2018 წლის 14 დეკემბერი 58

„საქართველოს მოქალაქეები ნადია ხურციძე, დიმიტრი ლომიძე და ტარიელ ჩოჩიშვილი საქართველოს კარლამენტის წინააღმდეგ“
№1/1/650, 699, 2017 წლის 27 იანვარი 63


„საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს კარლამენტის წინააღმდეგ“
№3/4/550, 2017 წლის 17 ოქტომბერი 65

„საქართველოს კარლამენტის წევრთა ჯგუფი(დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეკუბატი), საქართველოს მოქალაქეები - ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები - ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აბრეთვე, საქართველოს კარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, ბიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, კეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეკუბატი) საქართველოს კარლამენტის წინააღმდეგ“
№3/5/768,769,790,792, 2016 წლის 29 დეკემბერი 69


**შემოსული
კონსტიტუციური
სარჩევები და
წარდგინებები
2016-2021**




კონსტიტუციური სარჩელებისა და წარდგინებების განხილვის შედეგები გადაწყვეტილებები 2016-2021



149
სულ




კონსტიტუციური სარჩელებისა და წარდგინებების განხილვის შედეგები განჩინებები 2016-2021



შესულ საპარტლანარმოება 52
 არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად 209

261
სულ



„გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ №12/1/1289, 2021 წლის 15 ივლისი

2021 წლის 15 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1289).

№1289 კონსტიტუციურ სარჩელში დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვების „ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით.

განსახილველ საქმეზე სადავოდ გამხდარი დებულება განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არასრულწლოვანის ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე დაყოლიებისათვის.

მოსარჩელის განმარტებით, სადავო ნორმით გათვალისწინებული ტერმინი „ანტისაზოგადოებრივი ქმედება“ განუსაზღვრელი ხასიათისაა და შეუძლებელია მასში მოაზრებულ აკრძალულ ქმედებათა შინაარსის იდენტიფიცირება. მოსარჩელის პოზიციით, გასაჩივრებული ნორმა, ბუნდოვანების გამო, იდენტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, იძლევა მისი სხვადასხვაგვარი, მათ შორის, ურთიერთსაინააღმდეგო შინაა-

რსით განმარტების შესაძლებლობას. აღნიშნული კი ქმნის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საფრთხეს და ეწინააღმდეგება პასუხისმგებლობის დამდგენი კანონის განჭვრეტადობის კონსტიტუციურ მოთხოვნებს.

მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლების მითითებით, სადავო ნორმის მიზანია არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვა, არასრულწლოვანი პირების ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმის პრევენცია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით კი შეუძლებელია ამომწურავად ყველა იმ შესაძლო ქმედების ჩამოთვლა, რომელიც წარმოქმნის არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაზიანების საფრთხეს. სწორედ ამიტომ, კანონმდებელმა მიზანშეწონილად და გამართლებულად მიიჩნია შედარებით ზოგადი ტერმინის – „ანტისაზოგადოებრივი ქმედების“ გამოყენება. მიუხედავად ამისა, მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ აღნიშნული ტერმინის შინაარსი ცხადი და გასაგებია, როგორც სადავო ნორმის ტექსტობრივი აღქმიდან, ისე საერთო სასამართლოების მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკიდან გამომდინარე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, განმარტა, რომ პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმები გამოიყენება ურთიერთობათა საკმაოდ ფა-

რთო, მუდმივად ცვალებადი, დინამიური და წინასწარ არაიდენტიფიცირებადი სპექტრის მოსაზრებებლად. აღნიშნულის გარდა, პასუხისმგებლობის განსაზღვრის საჭიროება არსებობს არაერთ ტექნიკურ და სპეციფიკურ სფეროში. ამასთან, ურთიერთობის რეგულირებისას ხშირად აუცდენელია რთული საკანონმდებლო კონსტრუქციების შემოღება ან/და ტექნიკური, ცალკეული სფეროებისათვის დამახასიათებელი ტერმინების გამოყენება. საპირისპიროდ, კანონმდებლისთვის მაქსიმალურად დეტალიზებული, ხისტი მოწესრიგების შემოღების ვალდებულების დადგენა შეიცავს ამა თუ იმ საზოგადოებრივად საშიში ქმედების დაუსჯელად დატოვების საფრთხეს. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმებში ზოგადი და ინტერპრეტირებადი ან/და ტექნიკური ტერმინების, ისევე, როგორც კომპლექსური ფორმულირებების გამოყენება ავტომატურად მის არაკონსტიტუციურობაზე არ მიუთითებს. ამგვარ შემთხვევებში, კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ნორმის ადრესატს შეუძლია სამართლებრივი შედეგების განჭვრეტა, მათ შორის, იურისტებისა და სხვა სფეროს სპეციალისტების დახმარებით.

შემდგომში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმებში გამოყენებული ტერმინების განმარტების პროცესში საერთო სასამართლოს პრაქტიკის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების განჭვრე-

ტადობის საუკეთესო ინდიკატორი, დროის მნიშვნელოვან პერიოდში საერთო სასამართლოების ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი პრაქტიკის არსებობაა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ამ თვალსაზრისით, პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმათა განჭვრეტადობის კონსტიტუციური სტანდარტი არ დაკმაყოფილდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის შინაარსთან/გამოყენებასთან დაკავშირებით (ა) არსებობს საერთო სასამართლოების ურთიერთსაინააღმდეგო პრაქტიკა; (ბ) საერთო სასამართლოების პრაქტიკის შეცვლის შედეგად ნორმის ახლად ჩამოყალიბებული ნორმატიული შინაარსი გავრცელდება აღნიშნულ განმარტებამდე ჩადენილ ქმედებებზე; ან/და (გ) იმ შემთხვევაში, როდესაც პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება სადავო ნორმის ზედმეტად ფართო, წინასწარ განუსაზღვრელი განმარტების შედეგია.

დასახელებული კრიტერიუმების საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გააანალიზა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა სადავო ნორმის განმარტების/გამოყენების თვალსაზრისით და გამოკვეთა მისი ურთიერთსაინააღმდეგო გამოყენების შემთხვევები. კერძოდ, რიგ შემთხვევებში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, არასრულწლოვანის დაყოლიება დანაშაულის ჩადენაზე წარმოადგენს ანტისაზოგადოებრივ ქმედებას და დასჯადია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო, სხვა შემთხვე-

ვებში კი მიუთითებს, რომ ამგვარი ქცევა არ არის სადავო ნორმით დასჯადი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ როდესაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სხვადასხვა შემადგენლობა სადავო ნორმას ერთმანეთის საწინააღმდეგო შინაარსით იყენებს, შეუძლებელია ნორმის ადრესატმა, მათ შორის, კვალიფიციური იურისტის დახმარებითაც კი, წინასწარ განჭვრიტოს წარმოადგენს თუ არა არასრულწლოვანი პირის დანაშაულის ჩადენაზე დაყოლიება ანტისაზოგადოებრივ ქმედებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვების „ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას არასრულწლოვანის დანაშაულის ჩადენაზე დაყოლიების გამო, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადების მოთხოვნებს.

„გიორგი ქებურია საქართველოს კარლამენტის წინააღმდეგ“ №2/2/1276, 2020 წლის 25 დეკემბერი

2020 წლის 25 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1276). აღნიშნულ საქმეზე გასაჩივრებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები ადგენდნენ ჩხრევის ჩატარების მიზანსა და საფუძველს, ასევე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის მტკიცებულებით სტანდარტს.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სადავო ნორმებზე დაყრდნობით, შესაძლებელი იყო, ჩხრევა ჩატარებულიყო მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიერ

მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ისე რომ დაცვის მხარეს და სასამართლოს არ ჰქონდა ამ ინფორმაციის პირველწყაროსთან გადამონმების შესაძლებლობა. ამასთან მოსარჩელის განმარტებით, ასეთ შემთხვევაში, არ მოითხოვებოდა არც სხვა დამატებითი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რომელიც გაამყარებდა ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას. მოსარჩელის მტკიცებით, ამგვარი რეგულირება ქმნიდა პირადი ცხოვრების უფლების დაუსაბუთებლად შეზღუდვის რისკებს. გარდა ამისა, მოსარჩელის განმარტებით, საერთო სასა-

მართლოები ჩხრევის კანონიერების დასაბუთებისთვის ხშირად ეყრდნობოდნენ, მათ შორის, ჩხრევის შედეგად ამოღებულ ნივთს, რაც ასევე ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით დაცულ მისი პირადი ცხოვრების უფლებას.

მოსარჩელე მხარე ასევე არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა დანაშაულის თაობაზე მიღებული ოპერატიული ინფორმაციის შესახებ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ჩვენების განაჩენის საფუძველად გამოყენებას და მიუთითებდა, რომ სადავო ნორმები ვერ აკმაყოფილებს უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის კონსტიტუციურ მოთხოვნას. გარდა ამისა, მოსარჩელე მხარე არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის იმ ნორმატიულ შინაარსს, რომელიც უშვებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას მხოლოდ ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩატარებული ჩხრევის შედეგად ამოღებული ნივთიერი მტკიცებულების და მისგან მომდინარე მტკიცებულებების - ამ ჩხრევის თვითმხილველი პოლიციის თანამშრომლების ჩვენების, ჩხრევა/დაკავების ოქმების და ექსპერტიზის დასკვნის (სხვა სიტყვებით, დასკვნა ამოღებული ნივთის სახეობასა და ოდენობაზე) საფუძველზე, მაშინ როდესაც ბრალდებული თავიდანვე აპელირებდა, რომ უკანონო ნივთი მას არ ეკუთვნოდა და ის მას პოლიციელებმა „ჩაუდეს“.

მოპასუხე მხარემ არ გაიზიარა სასარჩე-

ლო მოთხოვნა და განმარტა, რომ ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის ინფორმაცია არ არის საკმარისი ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის. მოპასუხემ აღნიშნა, რომ ხსენებული ინფორმაციის მიღების შემდგომ, მისი სანდოობის შემონმების მიზნით, ხდება დამატებითი ინფორმაციების მოძიება კონკრეტული გარემოებების შესახებ. მხოლოდ ამის შემდეგ იქმნება ინფორმაციათა ერთობლიობა და შესაძლებელი ხდება ჩხრევის ჩატარება.

მოპასუხე მხარე არ დაეთანხმა მოსარჩელის პოზიციას ოპერატიული ინფორმაციის მიმწოდებელი პირის ვინაობაზე სასამართლოს წვდომის დაშვებასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ამგვარ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შეფერხდებოდა საგამოძიებო ორგანოების საქმიანობა. ამასთან, მოპასუხის მითითებით, კანონით გათვალისწინებულ პირებს აქვთ დაშვება ოპერატიული ინფორმაციის მიმწოდებელი პირის ვინაობაზე, რაც აზღვევს საგამოძიებო ორგანოს მხრიდან თვითნებობის რისკებს.

მოპასუხემ ასევე განმარტა, რომ უკვე ჩატარებული ჩხრევის დონისძიების კანონიერების შემონმებისას სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი არ არის ჩხრევის შედეგი, მთავარია, მოსამართლეს შეექმნას შინაგანი რწმენა იმის თაობაზე, რომ საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად, დასაბუთებულ ვარაუდთან ერთად, არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობის წინაპირობები.

ამასთანავე, მოპასუხის პოზიციით, დანაშაულის თაობაზე მიღებული ოპერატიული ინფორმაციის შესახებ სამართალდამცავი

ორგანოს თანამშრომლის ჩვენება არ წარმოადგენს მტკიცებულებას, იგი თავისი არსით არც პირდაპირი ჩვენებაა და არც ირიბი. შესაბამისად, ის საფუძვლად ვერ დაედება გამამტყუნებელ განაჩენს. რაც შეეხება ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთის და მასთან დაკავშირებული პოლიციის თანამშრომლების ჩვენებების გამამტყუნებელ განაჩენის გამოტანის საფუძვლად გამოყენებას, მოპასუხე მხარემ მიუთითა, რომ სადავო ნორმითა და კანონმდებლობით გამორიცხულია არაუტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ოპერატიული წყაროს (კონფიდენტი/ინფორმანტი) და ანონიმური პირის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დანაშაულთან ბრძოლაში. საზოგადოების მიერ სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიწოდებული ინფორმაცია უზრუნველყოფს ისეთ დანაშაულთა სწრაფ გამოვლენას ან პრევენციას, რომელიც ამ ინფორმაციის მიწოდების გარეშე ვერ მოხდებოდა. ამდენად, სახელმწიფო უარს ვერ იტყვის ამ სუბიექტების მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოყენებაზე. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებით, ოპერატიული წყაროს განსაიდუმლოება (გამჟღავნება), მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო პროცესზე გადამონმების მიზნით, ვერ ჩაით-

ვლება საქმეში დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევისთვის ნაკლებად მზლუდავ საშუალებად. იმ შემთხვევაში, თუ წყაროს არ ექნებოდა კონფიდენციალურობის გარანტია, ის და სხვა პოტენციური პირები თავს შეიკავებდნენ სამართალდამცავ ორგანოებთან მომავალში თანამშრომლობისგან, რაც დააზარალებდა მნიშვნელოვან სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებით, ჩვეულებრივი მოწმისგან განსხვავებით, ოპერატიული წყაროს და ანონიმური პირის შემთხვევაში არ ხდება/ვერ ხერხდება სასამართლოს მიერ ინფორმაციის პირველწყაროს სანდოობის გადამონმება. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ასეთი ინფორმაციის სათანადო გადამონმების გარეშე ჩხრეკის საფუძვლად გამოყენების პირობებში, მაღალია ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის უფლების არასაჭირო შეზღუდვის რისკი. ამდენად, იმისთვის რომ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს გაუჩნდეს მოლოდინი ჩხრეკის შედეგად მტკიცებულების მოპოვების შესახებ (რაც ჩხრეკის ჩატარების ლეგიტიმურ საფუძველს წარმოადგენს), მნიშვნელოვანია მოხდეს ამ ინფორმაციის სათანადოდ გადამონმება.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ჩხრეკის ჩატარების მიზნებისათვის ინფორმაციის სანდოობა, შეიძლება დადასტურდეს სხვადასხვა გარემოებებით. იმისათვის, რომ ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია საფუძვლად დაედოს ადამიანის ჩხრეკას, თავად ინფორმაცია უნდა იყოს იმგვარი, რომ

შეიძლებოდეს ამ ინფორმაციის სანდოობის გარკვეული ხარისხით გადამონმება, რათა ობიექტური პირი/მოსამართლე დარწმუნდეს, რომ ინფორმაციის მიმწოდებელი საქმისთვის მნიშვნელოვან მონაცემებს ფლობს, შეუძლია კონკრეტულ ფაქტებზე მითითება, ანდა დანაშაულთან დაკავშირებული კონკრეტული მომავალი მოვლენის აღწერა ან თავად ინფორმაცია ხასიათდება გარკვეული დეტალიზებით. ინფორმაციიდან უნდა იკვეთებოდეს, რომ წყარო ნამდვილად უთითებს ისეთ დეტალებს, რომელიც ადვილად გამოცნობადი/აღქმადი არ შეიძლება იყოს ჩვეულებრივი მესამე პირისთვის და მისი დაკვირვება გარკვეულწილად ძალისხმევას/გამოცდილებას უნდა უკავშირდებოდეს. გარდა ამისა, ინფორმაციის სანდოობა შეიძლება დადასტურდეს, აგრეთვე, პოლიციელის ჩვენებით, რომელიც გაფრთხილებულია ცრუ ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ და რომელიც მიუთითებს, რომ წყარო გამოცდილი და სანდოა, მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია კი სანდოობის ხარისხით გამოირჩეოდა წარსულშიც. ცხადია, გამორიცხული არაა, რომ პოლიციელის მხრიდან საქმისადმი დაინტერესების გამო, მის მიერ მოხდეს ამ ინფორმაციის ფაბრიკაცია, თუმცა, როგორც აღინიშნა, ასეთ ფაქტს მოყვება შესაბამისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და ეს ამცირებს პოლიციელის მიერ განზრახ არასწორი და ცრუ ინფორმაციის მიწოდების რისკებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ინფორმაციის დადასტურების რაიმე წი-

ნასწარ განსაზღვრული ფორმულა ჯეროვნად ვერ მოემსახურება სახელწიფოს მიერ დანაშაულთან ბრძოლის მიზნებს და გადანყვეტილებაში დასახელებული გარემოებები მხოლოდ ერთეულ შემთხვევებზეა ჩაითვლება იმ მრავალი ფაქტორიდან, რომელიც დაასაბუთებდა ოპერატიული ინფორმაციის სანდოობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონის სისტემური და გრამატიკული განმარტების საფუძველზე, გამორიცხული უნდა იყოს მხოლოდ ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩხრეკის ჩატარება, ვინაიდან დასაბუთებული ვარაუდი მოითხოვს მინიმუმ კიდევ ერთ ინფორმაციას ან ფაქტს იმისათვის, რომ უფლებამოსილ პირს ჰქონდეს შესაბამისი ხარისხის ეჭვის საფუძველი. ამგვარად, ჩხრეკის კანონიერად ჩატარება მხოლოდ ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით გამორიცხული უნდა იყოს.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თუ ოპერატიული ინფორმაციის მიღების შესახებ პატაკის შემდგენი/მიმღები პირის გამოკითხვის ოქმი ყოველგვარი დამატებითი ინფორმაციის მითითების გარეშე იმეორებს მხოლოდ პატაკში აღწერილ ინფორმაციას ანდა მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც ოპერატიულმა წყარომ მიაწოდა, იგი უტოლდება ერთ ინფორმაციას, რაც ცხადია ვერ შეფასდება ინფორმაციის ან ფაქტების ერთობლიობად. საწინააღმდეგოს დაშვების

შემთხვევაში, ფაქტების და ინფორმაციის ერთობლიობა ყოველთვის შეიქმნება, რადგან ყოველთვის იარსებებს პოლიციელი, რომელიც დაადასტურებს ოპერატიული წყაროდან ინფორმაციის გადმოცემის ფაქტს და გადმოცემს იმ ინფორმაციის შინაარსს, რომელიც ოპერატიულმა წყარომ მიანოდა. მიუხედავად ამისა, საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი ცხადი და რელევანტური პრაქტიკა, რომელიც დაადასტურებდა, რომ ჩხრეკის საფუძველი გამხდარა მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციის მიმღები პირის პატაკი და ამ პირის გამოკითხვის ოქმი, რომელიც იმეორებს პატაკში არსებულ ან/და ოპერატიული წყაროს ინფორმაციას, ყოველგვარი დამატებითი ინფორმაციის მითითების ანდა ინფორმაციის გადამოწმების გარეშე.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საერთო სასამართლოს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ჩხრეკის შედეგი საფუძველად დადებია ჩხრეკის კანონიერების დასაბუთებას. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ჩხრეკის შედეგად მტკიცებულების მოპოვების ფაქტი არარელევანტური გარემოებაა იმის გადამოწმებისას, თუ რამდენად სწორად აფასებდა სამართალდამცავი ჩხრეკის ჩატარებამდე დასაბუთებული ვარაუდის არსებობის ფაქტს. შესაბამისად, კონკრეტული ჩხრეკის ჩატარების საჭიროების/აუცილებლობის შეფასებაზე გავლენას არ ახდენს ამავე ჩხრეკის შედეგად სათანადო მტკიცებულების მოპოვების ფაქტი. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია საქართველოს სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებისა და 121-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ჩხრეკის შედეგს განიხილავს ჩხრეკისთვის აუცილებელი დასაბუთებული ვარაუდის შექმნის ერთ-ერთ საფუძველად.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საერთო სასამართლოს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ოპერატიული ინფორმაციის მიმღები პოლიციელის ჩვენება, სადაც ეს უკანასკნელი სხვა რაიმე დამატებითი ინფორმაციის მითითების გარეშე, უბრალოდ გადმოსცემდა ოპერატიული ინფორმაციის წყაროს მონათხრობს, გამოყენებული იყო გამამტყუნებელი განაჩენის ერთ-ერთ საფუძველად. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შინაარსობრივად პოლიციელის ჩვენება, რომელიც ემყარება ოპერატიული ინფორმაციის მომწოდებელ წყაროს - კონფიდენტის/ინფორმანტის ინფორმაციას, ირიბი ჩვენების ერთგვარი ფორმაა, რომელიც თანაბარ რისკებს უქმნის პირის მიმართ უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის სახელმწიფო ვალდებულებას. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ პოლიციელის ამგვარი ჩვენების გამამტყუნებელი განაჩენისთვის გამოყენება აშკარად უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს დაცვის მხარეს. დაცვის მხარეს არ აქვს შესაძლებლობა უშუალოდ დაკითხოს ოპერატიული ინფორმაციის მიმწოდებელი პირი, ეჭვქვეშ დააყენოს იმ პირის სანდობა და დამატებლობა, რომლის ჩვენებასაც

სასამართლო ეყრდნობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას. დაცვის მხარისთვის ამგვარი შესაძლებლობის არქონა აშკარად ქმნის იმის საფრთხეს, რომ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა მოხდეს არაუტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის იმ ჩვენების საფუძველზე, რომელიც ეფუძნება ოპერატიული წყაროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე შეაფასა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთიერი მტკიცებულების და მისგან მომდინარე მტკიცებულებების გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველად გამოყენების კონსტიტუციურობა. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ განსახილველ საქმეში არსებული მასალებით ირკვეოდა, რომ საერთო სასამართლოს, მათ შორის, სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების, პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა მომხდარა მტკიცებულებათა ისეთი ერთობლიობით, რომელიც შედგებოდა ოპერატიული წყაროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთის (ნარკოტიკული

საშუალების ან ცეცხლსასროლი იარაღის), ამ ჩხრეკის თანამონაწილე/დამსწრე პოლიციის თანამშრომელთა თანმიმდევრული ჩვენებების, ჩხრეკისა და დაკავების ოქმების და ქიმიური ექსპერტიზის (რომელიც აღწერდა ამოღებული ნივთის სახეობას/რაობას და ოდენობას) საფუძველზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასახელებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ქმნის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველს, რიგ შემთხვევებში, შეიძლება ვერ პასუხობდეს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ მტკიცებულების უტყუარობის კონსტიტუციურ მოთხოვნებს. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ჩხრეკის შედეგად მტკიცებულების მოპოვების იმგვარი სისტემა, რომელიც, ერთი მხრივ, სამართალდამცავებს აღჭურავს ჩხრეკის სანდობის უზრუნველყოფისათვის ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობით, მეორე მხრივ კი, შეამცირობს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკებს. ზოგადად, განუზომლად დიდია პოლიციელის მიერ განხორციელებული ქმედებისადმი ნდობის არსებობის მნიშვნელობა მართლმსაჯულების ეფექტურად აღსრულებისათვის. ამავე დროს, ვერც ერთი სახელმწიფო ორგანო, სასამართლოც კი, ვერ მოახერხებს ნდობის მოპოვებას საქმიანობის სათანადოდ განხორციელების გარეშე. როდესაც ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთის მტკიცებულებად გამოყენების საკითხი მხოლოდ და მხოლოდ პოლიციელების ჩვენებებზეა დამოკიდებული, მათი სანდო-

ბისათვის არსებითი იქნება ის, თუ რამ გამოიწვია ასეთი მოცემულობის შექმნა. პოლიციის კეთილსინდისიერი მოქმედების პრეზუმირება ბევრად უფრო მარტივია იმ შემთხვევაში, როდესაც დასტურდება რომ საქმეში არსებული ფაქტობრივ გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელი (განუზომლად რთული) იყო ჩხრეკის სანდობასთან დაკავშირებით დამატებითი მტკიცებულების მოპოვება. თუმცა როდესაც აშკარაა, რომ პოლიციელს შეუძლო მოეპოვებინა ჩხრეკის სანდობის გამამყარებელი მტკიცებულება და მან ეს არ გააკეთა, მისი ქმედებებისადმი ნდობის ხარისხი მნიშვნელოვნად იკლებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საგამოძიებო მოქმედების კომპლექსურობის გათვალისწინებით, ყველა შემთხვევაში, ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვერ მოხდეს ჩხრეკის ფაქტის ნეიტრალური მტკიცებულებით გამყარება, თუმცა უნდა დადასტურდეს რომ უფლებამოსილმა პირმა მიიღო გონივრული ზომები იმისთვის, რომ უზრუნველყო ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვება. ამის აშკარა მაგალითია, როდესაც საქმის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ პირის ან მისი მფლობელობის ჩხრეკის პროცესზე ნეიტრალური მონმის დასწრების შესაძლებლობა ობიექტურად არსებობდა და პოლიციელებმა ეს არ უზრუნველყვეს. უფრო მეტიც, თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესი იძლევა შესაძლებლობას, რომ ჩხრეკის პროცესის ვიდეოგადაღებაც განხორციელდეს იმისათვის, რომ გამყარდეს ბრალდების პოზიცია. მტკიცებულების სანდობისადმი მნიშვნელოვან

ეჭვს ასევე აჩენს გარემოება, როდესაც, პოლიციელთა უსაფრთხოების დაცვის პირობებში, არსებობდა ჩხრეკის ვიდეო გადაღების რეალური შესაძლებლობა და პოლიციელმა ის არ გამოიყენა. ოპერატიული ინფორმაციის მიღება ყოველთვის არ მოითხოვს გადაუდებელი აუცილებლობით მოქმედებას და უფლებამოსილ პირს შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული დრო და შესაძლებლობაც, რომ ჩხრეკამდე მოემზადოს, აღიჭურვოს შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით და სადაც მოხერხდება, ჩხრეკის განხორციელება ვიდეოგადაღებით უზრუნველყოს. ამას გარდა, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაშიც კი, როგორც წესი, გადაუღაბავ სირთულესთან არ არის დაკავშირებული ჩხრეკის დაფიქსირება თუნდაც მობილურ ტელეფონში არსებული ვიდეოკამერით, რომელიც დღესდღეობით ფაქტობრივად ყოველდღიური მოხმარების ნივთს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გამოძიებისთვის რეალურად ხელთ არსებული შესაძლებლობების გამოუყენებლობა, რაც დაადასტურებდა/გაამყარებდა პირის წინააღმდეგ არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ქმნის შეცდომის, თვითნებობის და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მნიშვნელოვან რისკებს. აღნიშნულის მიუხედავად, მოქმედი კანონმდებლობა არ ადგენს სამართალდამცავთა ვალდებულებას, მოიპოვონ ჩხრეკის სანდობის უზრუნველყოფი ნეიტრალური მტკიცებულებები, მაშინაც კი, როდესაც ეს პოლიციელის უსაფრთხოების

ან/და მტკიცებულების განადგურების/გადამალვის საფრთხის შექმნის გარეშე, გონივრულ ფარგლებში მოქმედების შედეგად შესაძლებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ კანონმდებლობითა და სადავო ნორმით ვერ ხერხდება არასანდო მტკიცებულების გამოყენებით პირის მსჯავრდების რისკების დაზღვევა. შესაბამისად, სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გა-

მოყენების შესაძლებლობას, იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა ჩვენებებით და ამავე დროს სამართალდამცავებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ უტყუარობის კონსტიტუციურ მოთხოვნებს და არაკონსტიტუციურია.

„ნიკანორ მელია საქართველოს კარლამენტის წინააღმდეგ“ №3/2/1473, 2020 წლის 25 სექტემბერი

2020 წლის 25 სექტემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა არ დააკმაყოფილა №1473 კონსტიტუციური სარჩელი („ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). დასახელებულ საქმეზე სადავოდ იყო გამხდარი საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 12 დეკემბრის №5544-ის დადგენილება „ნიკანორ მელიასათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“. ხსენებული დადგენილების მიღების საფუძვლად განისაზღვრა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 2 დეკემბრის განაჩენი, რომლითაც ნიკანორ მელია დამნაშავედ იქნა ცნობილი სამსახუ-

რებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის.

მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, რომ პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეიძლება შეწყვეტოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, კანონიერ ძალაში შესულად კი ჩაითვლებოდა ის განაჩენი, რომელიც იყო საბოლოო და აღარ ექვემდებარებოდა პირდაპირი წესით გასაჩივრებასა და შეცვლას მემდგომ სასამართლოში. მოსარჩელე განმარტავდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს შესაძლოა დაეშვა შეცდომები ფაქტების შეფასებისას და მიეღო არასწო-

რი გადაწყვეტილება. ამ რისკის თავიდან ასაცილებლად კი არსებობდა გასაჩივრების მექანიზმი, თუმცა იგი აზრს დაკარგავდა, თუ პირს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის საფუძველზე მიადგებოდა შეუქცევადი ზიანი. შესაბამისად, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს და შეიცავდა პირის უფლებების შეუქცევადად დარღვევის რისკს.

მოპასუხე მხარე განმარტავდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის საკითხი დაკავშირებული იყო მის აღსრულებასთან. იმ შემთხვევაში, თუ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა დაყოვნდებოდა საქმეზე გასაჩივრების მექანიზმის ამოწურვამდე, ვერ მოხდებოდა ამ განაჩენის აღსრულება და პირისთვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელის დაკისრება, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუშლიდა საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებას. აქედან გამომდინარე, მოპასუხე მიიჩნევდა, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის მიზნებისათვის, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ჩათვლილიყო კანონიერ ძალაში შესულად და, ამ მხრივ, სადავო დადგენილება არ არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, შეაფასა, რამდენად იწვევდა სადავო დადგენილება პარლამე-

ნტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიზნებისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტად მიიჩნევა მხოლოდ ის ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც პარლამენტის წევრის სტატუსის დაკარგვას პერმანენტული/გრძელვადიანი ხასიათი აქვს და უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ დადგენილების გაუქმების გარეშე კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის მისი აღდგენის შესაძლებლობა. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ნიკანორ მელიას ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებდა მოსარჩელისთვის პარლამენტის მანდატის აღდგენის შესაძლებლობას, თუნდაც ზემდგომ სასამართლოს იგი უდანაშაულოდ მიეჩნია, რაც წარმოადგენდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას საქართველოს კონსტიტუციის მიზნებისათვის.

მომდევნო ეტაპზე საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის შინაარსი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის ნესთან და საფუძვლებთან დაკავშირებით. სასამართლოს შეფასებით, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არასწორად შეწყვეტა წარმოშობდა პირის უფლებების შეუქცევადად დარღვევისა და ხალხის ნების დაძლევის უდიდეს რისკებს. სწორედ ამიტომ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტი ექსკლუზიურად და ამომწურავად ჩამოთვლიდა იმ სა-

ფუძვლებს, რომელთა არსებობაც იწვევდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას და ეს ჩამონათვალი არ ექვემდებარებოდა გაფართოებას ქვემდგომი საკანონმდებლო აქტებით. ამასთანავე, მართალია საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად განსაზღვრავდა კანონიერ ძალაში შესული განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობას, თუმცა ამა თუ იმ დანაშაულის სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრა ავტომატურად არ მიუთითებდა იმაზე, რომ კონკრეტული ქმედების ჩადენის გამო დასაშვები იყო პირის უფლებამოსილების შეწყვეტა, ისევე როგორც, არ გამოირიცხებოდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მიღმა არსებულიყო ქმედებები, რომელთა ჩადენასაც უნდა გამოეწვია საპარლამენტო მანდატის ვადამდე აღრე შეწყვეტა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება წარმოადგენდა სწორედ იმგვარ დანაშაულს, რომლის ჩადენაც შეუსაბამო იყო პარლამენტის წევრის სტატუსთან.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე იმსჯელა, თუ რამდენად შეიძლება პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მიჩნეულ იქნას კანონიერ ძალაში შესულად და საფუძვლად დაედოს პარლამე-

ნტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას. მისი განმარტებით, პარლამენტში იმ პირთა საქმიანობა, რომლებიც „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით“ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით პირველი ინსტანციის სასამართლომ დამნაშავედ ცნო, აზიანებდა საკანონმდებლო ორგანოს რეპუტაციას და ეჭვქვეშ აყენებდა მის სანდოობას. ამასთან, სასამართლოს შეფასებით, გამამტყუნებელი განაჩენის არსებობა ლეგიტიმურობას აცლიდა პარლამენტის წევრის მიმართ ხალხის ნდობას და მათ მიერ მინიჭებულ მანდატს. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების ურთიერთმიმართებას და მიუთითა, რომ თუ არ მოხდებოდა პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულება პარლამენტის წევრთან მიმართებით, საფრთხე შეექმნებოდა არამხოლოდ პარლამენტის ეფექტურ ფუნქციონირებას, არამედ მართლმსაჯულების განხორციელებასაც.

ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ნიკანორ მელიასათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტს.

განსხვავებული აზრი №3/2/1473 გადაწყვეტილებაასთან დაკავშირებით

განსხვავებული აზრის ავტორებმა - მოსამართლეებმა: ირინე იმერლიშვილმა, გიორგი კვერენჩილაძემ, თეიმურაზ ტულუშმა და თამაზ ცაბუტაშვილმა - არ გაიზიარეს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მოსაზრება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადება წარმოადგენს მის კანონიერ ძალაში შესვლას და შესაძლებელია საფუძვლად დაედოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას. მათი განმარტებით, სისხლის სამართლის საქმეზე მუდმივად არსებობს ფაქტების არასწორად შეფასების, შეცდომის დაშვების და არასწორი გადაწყვეტილების მიღების რისკი. ამ რისკის რეალიზების უარყოფითი შედეგები კი ყველაზე თვალსაჩინოა საქართველოს პარლამენტის წევრის, როგორც პირდაპირი არჩევნების გზით არჩეული პირის უფლებამოსილების შეწყვეტისას, რითაც შეუქცევადად ირღვევა არა მხოლოდ პირის უფლება, არამედ ილახება ამომრჩევლის ინტერესები და საფრთხე ექმნება პარლამენტის ეფექტურ ფუნქციონირებას. ამდენად, განსხვავებული აზრის ავტორთა პოზიციით, პარლამენტის წევრის უფლებებში ამ ინტენსივობის ჩარევა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა განხორციელდეს.

მოსამართლეებმა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის საკითხზე მსჯელობისას პარალელი გაავლეს უდანაშაულობის პრეზუმციასთან და მიუთითეს, რომ როგორც

არაბრალეულობის პრეზუმციის, ისე პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხთან მიმართებით ტერმინს „კანონიერ ძალაში შესული განაჩენი“ ანალოგიური მნიშვნელობა და მიზანი გააჩნია. კერძოდ, ორივე შემთხვევაში საქართველოს კონსტიტუცია მიზნად ისახავს პირის დაცვას უფლების შეუქცევადი დარღვევისაგან მანამ, სანამ გადაწყვეტილება მისი დამნაშავედ ცნობის შესახებ არ გახდება საბოლოო (არ ამოიწურება გადაწყვეტილების პირდაპირი გასაჩივრების მექანიზმები).

განსხვავებული აზრის ავტორებმა ასევე ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზე, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა არ წარმოადგენს გამამტყუნებელი განაჩენის პირდაპირ შედეგს და ამ საკითხზე საქართველოს პარლამენტმა დამოუკიდებლად უნდა იმსჯელოს. ანუ მანდატის შეწყვეტა წარმოადგენს არა სასჯელს, არამედ პირის დამნაშავედ ცნობის გვერდით ეფექტს. ამდენად, მათი განმარტებით, მცდარია საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მოსაზრება მართლმსაჯულების აღსრულებასა და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

განსხვავებული აზრის ავტორთა პოზიციით, პარლამენტის წევრის სტატუსის დაკარგვა დასაშვებია მხოლოდ საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ,

რამდენადაც მანდატის შეწყვეტას გააჩნია პერმანენტული/გრძელვადიანი ხასიათი და შეწყვეტის შესახებ დადგენილების გაუქმების გარეშე კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის მისი აღდგენის შესაძლებლობა და პარლამენტის წევრის/მისი ამომრჩევლის ინტერესებს ადგება შეუქცევადი ზიანი.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, განსხვავებული აზრით ავტორები მიიჩნევენ, რომ „ნიკანორ მელიასათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“

საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 12 დეკემბრის №5544-ლს დადგენილება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, რამდენადაც ნიკანორ მელიას უფლებამოსილება შეუწყდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის საფუძველზე, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელეს ამონურული არ ჰქონდა განაჩენის გასაჩივრების მექანიზმი და ეს განაჩენი საქართველოს კონსტიტუციის მიზნებისათვის არ ითვლებოდა კანონიერ ძალაში შესულად.

„ა(ა)იკ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი“, ჰერმან საბო, გურაბ ბირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ №3/3/1526, 2020 წლის 25 სექტემბერი

2020 წლის 25 სექტემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე, რომელშიც სადავოდ გამხდარი ნორმა სარჩევნო სუბიექტებისთვის ადგენდა 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე გასამართ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პარტიული სიის იმგვარად შედგენის ვალდებულებას, რომ სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც ყოფილიყო განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდებოდა.

კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, მოსარჩელე პოლიტიკურმა გაერთიანებამ შეიმუშავა სისტემა, რომლის საფუძველზეც არჩევნებში მონაწილეობისათვის პარტიული სიის ფორმირება სრულად დამოკიდებულია პარტიის პარტნიორთა მიერ გამოხატულ ნებაზე. სადავო ნორმა მოსარჩელე მხარეს ავალდებულებდა, სქესთა შორის ბალანსის დაცვის მოტივით, განეხორციელებინა ცვლილებები პარტიის პარტნიორთა მიერ განსაზღვრულ პარტიულ სიაში. მოსარჩელე მხარის განმარტებით, მსგავსი ვალდებულების დაკისრება გაუმართლებლად ზღუდავდა მათ საარჩევნო უფლებას. ამასთან, პოლიტიკუ-

რი პარტია იძულებული ხდებოდა, უგულებელყო საკუთარი პარტნიორების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რაც უარყოფითად აისახებოდა პარტნიორთა მხრიდან პარტიის დაფინანსების საკითხზე და, შესაბამისად, მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდა პოლიტიკური გაერთიანების სრულფასოვან ფუნქციონირებას.

მოპასუხე მხარემ განმარტა, რომ საარჩევნო უფლების შეზღუდვას განაპირობებდა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ძირითადი უფლება, რომლის საფუძველზეც, სახელმწიფოს დაეკისრა პოზიტიური ვალდებულება, მიიღოს განსაკუთრებული ზომები ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად. განსახილველ შემთხვევაში კი, სადავო ნორმის ლეგიტიმურ მიზანს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სქესთა შორის არსებული ბალანსის გაუმჯობესება წარმოადგენდა.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პარტიული სიის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობაში სავალდებულო რეგულაციების დაწესება იწვევს მოსარჩელეთა საარჩევნო უფლების შეზღუდვას. სასამართლომ, პირველ რიგში, შეაფასა სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვის თავსებადობა დემოკრატიული მმართველობის პრინციპთან და განმარტა, რომ სქესის ნიშნით კვოტირება არ უკავშირდება რაიმე ტიპის კონკრეტული იდეის ან/და პოლიტიკის ხელშეწყობას. ამასთან, კვოტირება ხდება იმ პირებს შორის, რომლებიც საარჩევნო

უფლების მქონე ადამიანთა მეტ-ნაკლებად თანაბარ ნაწილებს წარმოადგენენ და იგი არ იწვევს საქართველოს პარლამენტში რომელიმე ჯგუფის წარმომადგენლობის არაპროპორციულად ზრდას. ამდენად, სადავო ნორმის მოქმედების შედეგად, მოქალაქეთა არჩევანზე სახელმწიფოს გავლენა არის მინიმალური, შესაბამისად, იგი ვერ იქნება მიჩნეული დემოკრატიის პრინციპთან თავისთავად შეუთავსებელ შეზღუდვად.

აღნიშნულის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა სადავო ნორმის შესაბამისობა უშუალოდ თანაბრობის პრინციპის მოთხოვნებთან მიმართებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ პირებისთვის თანაბარი შესაძლებლობის მინიჭებისა და თანასწორი სამართლებრივი რეგულირებების პირობებშიც კი შესაძლებელია კონკრეტული ჯგუფები, სოციალური გარემოს მოქმედებით შექმნილი ხელოვნური ბარიერების გამო, ვერ ახდენდნენ შესაძლებლობების სხვათა თანაბრად რეალიზებას. სწორედ ამგვარი, სამართლის მიღმა არსებული სოციალურ-პოლიტიკური უთანასწორობის წინააღმდეგ და შესაძლებლობების თანასწორად რეალიზების ხელშეწყობისკენ არის მიმართული საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება. აღნიშნული დებულება სახელმწიფოს აღჭურავს მხოლოდ რეალური საჭიროებით განპირობებული სპეციალური ღონისძიებების გატარების უფლებამოსილებით. იგი სახელმწიფოსაგან მოითხოვს სპეციალური ღონისძიებების გატარებას სქესის გამო წარმატების ხელისშემშლელი ხელო-

ვნური საზოგადოებრივი ბარიერების დამაბალანსებელი მექანიზმების შექმნით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ხსენებული დებულების მიზანია ფაქტობრივი თანასწორობის ხელშეწყობი გარემოებების შექმნა და არა თანასწორობის ხელოვნურად უზრუნველყოფა.

საკონსტიტუციო სასამართლომ, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებლის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ მათი მცირე წარმომადგენლობა შეუძლებელია უკავშირდებოდეს მხოლოდ ბუნებრივ ფაქტორებს, არამედ იგი განპირობებულია საზოგადოებაში არსებული ქალების პოლიტიკაში მონაწილეობისთვის ხელშემშლელი გარემოებებით. კერძოდ, საქართველოში მყარად დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულებები კიდევ უფრო აძლიერებს ქალის პოლიტიკაში მონაწილეობასთან დაკავშირებით საზოგადოებაში არაჯანსაღი, ხელოვნური ბარიერების არსებობის არგუმენტს და, საბოლოოდ, ქალებისთვის ქმნის უთანასწორო გარემოს, მათ შორის, პოლიტიკაში მონაწილეობის თვალსაზრისით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა მიიჩნია საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე ლეგიტიმურ მიზნად, რომლის მისაღწევადაც შესაძლოა საარჩევნო უფლების შეზღუდვა.

შეზღუდვის გამოსაღწევად ეტაპზე მსჯელობისას, სასამართლომ ცალკე იმსჯელა პარტიული სიის ყოველ ოთხეულში მინიმუმ

ერთი მამაკაცი კანდიდატის გათვალისწინების ვალდებულებაზე და აღნიშნა, რომ ლოგიკურ ახსნას არის მოკლებული, თუ რატომ იზღუდება სრულად, ან უმეტესად ქალებით დაკომპლექტებული საარჩევნო სიის ფორმირება მაშინ, როცა ქალთა წარმომადგენლობა პარლამენტში მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება (ოდ) მამაკაცთა რაოდენობას და, ამავე დროს, არ არსებობს უახლოეს მომავალში პარლამენტში მამაკაცთა სასარგებლოდ კვოტირების განხორციელების საჭიროების შექმნის რაციონალური მოლოდინი. შესაბამისად, ამგვარი რეგულაცია ხელს უშლის საქართველოს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას. ამდენად, სადავო ნორმით დადგენილი მოთხოვნა, რომლის თანახმადაც საარჩევნო სიის ყოველ ოთხეულში უნდა იყოს მინიმუმ ერთი მამაკაცი, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით.

სადავო ნორმის იმ ნორმატიულ შინაარსთან დაკავშირებით, რომელიც საარჩევნო სუბიექტებს ავალდებულებს, პარტიული სიის ყოველ ოთხეულში წარმოდგენილი ჰყავდეთ მინიმუმ ერთი ქალი კანდიდატი, სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ღონისძიება დროის მოკლე მონაკვეთში შედეგის მიღწევის ერთ-ერთ ყველაზე ქმედით მექანიზმს წარმოადგენს და ახდენს პარლამენტში, როგორც მინიმუმ, გარკვეული პროცენტული ოდენობით, ქალთა წარმომადგენლობის გარანტირებას. ამ კუთხით, საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ

გარემოებაზე, რომ პრინციპულად არასწორია საქართველოს პარლამენტის წევრების შედარება სხვადასხვა პროფესიის პირებთან. მისი შეფასებით, პროფესიული თანამდებობისგან ან სხვა პროფესიული საქმიანობისგან განსხვავებით, სადაც მართვის უკეთ განხორციელება და წარმატებული შედეგის მიღწევა პირდაპირ კავშირშია ამ პოზიციისთვის საუკეთესო ცოდნისა და გამოცდილების მქონე პირების შერჩევასთან, საქართველოს პარლამენტის დაკომპლექტება ხდება სრულად ხალხის, როგორც სუვერენის ნების შესაბამისად, ხოლო პარლამენტარის საქმიანობის სათანადოდ განხორციელება არ არის დაკავშირებული ისეთ სპეციალურ უნარებთან, რომლებიც, როგორც წესი, მამაკაცებს ახასიათებთ. ამდენად, სასამართლოს შეფასებით, სადავო რეგულირებით დადგენილი სავალდებულო კვოტირება, პროფესიული საქმიანობის სფეროებისგან განსხვავებით, ხელს ვერ შეუშლის პარლამენტის საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. გარდა აღ-

ნიშნულისა, სასამართლომ მხედველობაში მიიღო სადავო ნორმის დროებითი ხასიათი, აგრეთვე ის გარემოება, რომ საარჩევნო სუბიექტთა თავისუფლება მინიმალური დონით იზღუდება არა მხოლოდ განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა ნაკლები რაოდენობრივი მოთხოვნის დაწესებით, არამედ თავად რეგულირების ბუნებიდან გამომდინარე. კერძოდ, შეზღუდვა მიემართება კანდიდატების არა რაიმე განსაკუთრებული ნიშან-თვისებების საფუძველზე შერჩევას, არამედ ისეთ მოთხოვნას (სქესს), რომელიც თავისი ბუნებით ერთ-ერთი ყველაზე მარტივად გადასალახი ბარიერია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმით სამართლიანად არის დადგენილი ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის და საარჩევნო სიის ყოველ ოთხეულში მინიმუმ ერთი ქალის გათვალისწინების ვალდებულება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებას.

ბანსხვავებული აზრი

№3/3/1526 გადაწყვეტილებაასთან დაკავშირებით (1)

განსხვავებული აზრის ავტორმა - მოსამართლე ევა გოცირიძემ მიუთითა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით ვერ დამყარდა სამართლიანი ღირებულებითი ბალანსი. ამასთან, არ არსებობდა სადავო ნორმის და მისი არც ერთი „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურად ცნობის ფაქტობრივი, იურიდიული თუ ლოგიკური საფუძველი.

განსხვავებული აზრის ავტორის განმარტებით, სადავო ნორმა ნამდვილად ემსახურებოდა შესაბამის სამართალურთიერთობაში სქესთა შორის თანასწორობის მიღწევის ლეგიტიმურ ინტერესს. ამავდროულად, ნორმის მიზანია დაეხმაროს სამართალურთიერთობაში დაჩაგრულ სქესს და არა კონკრეტულად ქალს ან მამაკაცს, რაც პირდაპირ შეესაბამება კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ პრინციპებს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სწორედ ამ დებულებაში ამოიკითხა საკონსტიტუციო სასამართლომ, სავსებით მართებულად, სახელმწიფოს განსაკუთრებული პოზიტიური ვალდებულებები ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის უზრუნველყოფასთან მიმართებით.

განსხვავებული აზრის ავტორის მოსაზრებით, ლეგიტიმური მიზნის მიღწევას სადავო ნორმა ახდენს საარჩევნო უფლებაში მინიმალური ჩარევით, ვინაიდან იგი მოითხოვს სიის მხოლოდ ყოველ ოთხეულში ერთი განსხვავებული სქესის წარმომადგენლის ჩა-

რთვას. შესაბამისად, აღნიშნული შეზღუდვის მიღმა პარტიებს რჩებათ საკმაო მიხედულების თავისუფლება, თავიანთი პრეფერენციების მიხედვით შეადგინონ პარტიული სია.

განსხვავებული აზრის ავტორი მიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად გადაწყვიტა მამაკაცთა სასარგებლო კვოტირების კონსტიტუციურობის საკითხი. მისი მოსაზრებით, სადავო რეგულაციის უმთავრესი მიზანია პარლამენტში ქალთა და მამაკაცთა მეტნაკლებად თანაბარი წარმოდგენა. შესაბამისად, როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცებისთვის თანაბარი კვოტირების დაწესება არათუ არ ეწინააღმდეგება თანასწორობის იდეას, არამედ ყველაზე უფრო პირდაპირ და ნათლად გამოხატავს მას. ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი პარლამენტში სახელდებით სწორედ ქალთა და მამაკაცთა არსებით თანასწორობაზე მიუთითებს და არა უშუალოდ ქალთა წარმომადგენლობის გაზრდაზე. შესაბამისად, თუ ლეგიტიმურ მიზნად ვიგულისხმებთ არა უშუალოდ პარლამენტში ქალთა რაოდენობის გაზრდას, არამედ, უთანასწორობის აღმოფხვრას, მაშინ ძნელი სათქმელი იქნება, რომ მამაკაცთა კვოტირება არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზნის მიღწევას და, მათ შორის, არ არსებობს გონივრული და რაციონალური კავშირი. საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას

ქალთა და მამაკაცთა არსებითი თანასწორობის უზრუნველყოფისა და პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის ლეგიტიმური მიზნები ერთმანეთთან შეუთავსებლად მიიჩნია, რამაც განაპირობა საკითხის არასწორად გადაწყვეტა. ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა კი, პირიქით, ხელს უწყობს სქესთა შორის ბალანსის უზრუნველყოფას.

განსხვავებული აზრის ავტორის მითითებით, საკმაო რისკების შემცველია ის ნორმატიული მოცემულობა, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიქმნა. სასამართლომ მამაკაცთა კვოტირების არაკონსტიტუციურად ცნობით შინაარსობრივად ნეიტრალურ რეგულაციას შესძინა დისკრიმინაციული ხასიათი და ამით თავად განახორციელა თანასწორობის უფლებაში ჩარევა. უფრო მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლომ, ფაქტობრივად, მხოლოდ ქალთა პარტიების არსებობის შესაძლებლობა დაუშვა, ხოლო მამაკაცთა პარტიების არსებობა უარყო. ქალებისთვის ამგვარი პრიორიტეტის მინიჭება საფრთხეს წარმოადგენს როგორც სქესთა შორის თანასწორობის, ისე, ზოგადად, დემოკრატიის ხარისხის გაზრდის თვალსაზრისით და იგი იოლად ვერ გამართლდება პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის ლეგიტიმური მიზნით.

განსხვავებული აზრის ავტორი აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტით ფაქტობრივად, შეასრულა პოზიტიური კანონმდებლის როლი.

განსხვავებული აზრის ავტორი ასევე მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული შინაარსი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სადავო ნორმის ნორმატიულ შინაარსად, რომელიც მას ნამდვილად გააჩნდა. მისი მოსაზრებით, სადავო ნორმას მხოლოდ ერთი ნორმატიული შინაარსი აქვს, რაც გულისხმობს პარტიულ სიებში ორივე სქესის სავალდებულო კვოტირებას. შესაბამისად, სწორედ „ორივე სქესის კვოტირება“ ქმნის ერთ ნორმატიულ მოცემულობას, რის გამოც საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს სადავო ნორმა ან მთლიანად კონსტიტუციურად უნდა ეცნო ან იგი მთლიანად არაკონსტიტუციურად უნდა მიეჩნია.

განსხვავებული აზრის ავტორის განმარტებით, სასამართლომ დავის ამგვარი გადაწყვეტით წარმოშვა ახალი დილემაც. კერძოდ, მან გამორიცხა მამაკაცების შესაძლებლობა საკონსტიტუციო სასამართლოში იდავონ სქესის ნიშნით განსხვავებული მოპყრობის კონსტიტუციურობის თაობაზე საარჩევნო უფლებასთან მიმართებით.

განსხვავებული აზრი

№3/3/1526 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (2)

განსხვავებული აზრის ავტორები - მოსამართლეები: ირინე იმერლიშვილი და თეიმურაზ ტულუში მიუთითებენ, რომ სადავო წესი, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს ავალდებულებს, საქართველოს პარლამენტში აუცილებლად აირჩიონ გარკვეული რაოდენობის ქალი დეპუტატი, მიმართულია საქართველოს მოქალაქეთა არჩევანის თავისუფლების შეზღუდვის და არა მისი ხელშეწყობისკენ. სადავო ნორმა ადგენს წესრიგს, რომელიც უცხოა არჩევანის თავისუფლებაზე დაფუძნებული საარჩევნო პროცესისათვის და, ამდენად, სადავო ნორმა ამ უფლების მძიმე შეზღუდვას აწესებს.

განსხვავებული აზრის ავტორები არ უარყოფენ, რომ საზოგადოებაში ქალთა რაოდენობასთან შედარებით, საქართველოს პარლამენტში მათი წარმომადგენლობის მნიშვნელოვნად დაბალი ნიშნული არსებობს. თუმცა აღნიშნული, თავისთავად, არ ამტკიცებს, რომ ასეთი ფაქტობრივი მოცემულობა უმეტესად გამომწვეულია ქალების მიმართებით საზოგადოებაში არსებული არაჯანსაღი დამოკიდებულებებითა თუ სტერეოტიპული შეხედულებებით. განსხვავებული აზრის ავტორების მოსაზრებით, ამგვარი ვითარების არსებობის შემთხვევაშიც კი, კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი არ ქმნის სადავო ნორმით განსაზღვრული სპეციალური ღონისძიების (რომლის მიზანია, სოციალური ბარიერების მოხსნის გზით,

ქალებისა და მამაკაცებისთვის თანაბარი სასტარტო პირობების უზრუნველყოფა და არა მათი შედეგებში გათანაბრება) გამოყენების საფუძველს, ვინაიდან იგი პირდაპირ არის ორიენტირებული შედეგზე. შესაბამისად, სადავო ნორმა სცდება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით სახელმწიფოსათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს და სახეზე არ არის მისი მოქმედების ლეგიტიმური საფუძველი.

განსხვავებული აზრის ავტორებმა შეზღუდვის გამოსადეგობაზე მსჯელობისას აღნიშნეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია თუ რამდენად ეფექტურად ახდენს საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების განეიტრალებას სავალდებულო კვოტირება. მათი მოსაზრებით, ამგვარმა რეგულაციამ პირიქით, შესაძლოა ხელი შეუწყოს ქალის როლისადმი არაჯანსაღი დამოკიდებულების გამყარებას, ვინაიდან, დეპუტატ ქალთა რაოდენობის ხელოვნურად განსაზღვრა ქმნის მათი თანამდებობაზე დაუმსახურებლად მოხვედრის შესახებ საზოგადოებრივი აზრის გაჩენის რისკს. ამავდროულად, სადავო ნორმით უზრუნველყოფილი ქალთა წარმომადგენლობა, მისი არარსებობის პირობებშიც თითქმის მიღწეული იყო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად. შესაბამისად, სადავო რეგულირება არ ცვლის საქართველოს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის გაუმჯობესების

კუთხით მოსალოდნელ მოცემულობას, რის გამოც იგი ვერ ჩაითვლება ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებად.

აუცილებლობის ეტაპზე მსჯელობისას, განსხვავებული აზრის ავტორებმა აღნიშნეს, რომ 2008-2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები საქართველოს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის მხარდ მაჩვენებელზე მიუთითებს. კერძოდ, მთლიანად პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა უკანასკნელი სამი საპარლამენტო არჩევნების შედეგად გაიზარდა 6%-დან 12%-მდე, ხოლო შემდეგ 16%-მდე. ამასთან, პროპორციული სისტემის ნაწილში 10.66%-დან გაიზარდა 14.29%-მდე, ხოლო შემდეგ 23.38%-მდე. 2016 წელს, როგორც მთლიანად პარლამენტში, ასევე პროპორციული სისტემით არჩეულ პარლამენტის წევრთა ნაწილში ორჯერ და მეტად გაიზარდა ქალთა წარმომადგენლობა და რეალურად, სადავო ნორმით უზრუნველყოფილი ქალთა წარმომადგენლობა თითქმის მიღწეული იყო. აღნიშნული მონაცემების არსებობისას, საფუძველს მოკლებულია სასამართლოს მტკიცება, რომ ბუნებრივ პირობებში საქართველოს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის ზრდის დინამიკა არასაკმარისია. ამდენად, განსხვავებული აზრის ავტორებმა მიიჩნიეს, რომ სახეზე არ იყო სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვის დაწესების აუცილებლობა და იგი არ წარმოადგენდა უფლების ყველაზე ნაკლებად მზღუდავ საშუალებას.

განსხვავებული აზრის ავტორებმა ვიწრო პროპორციულობის საკითხზე მსჯელობისას აღნიშნეს, რომ წარმომადგენლობითი დე-

მოკრატია გულისხმობს ქვეყნის პოლიტიკის განმსაზღვრელი გადაწყვეტილებების იმ პირთა მიერ მიღებას, რომლებიც ამომრჩეველთა თავისუფალი ნების საფუძველზე, ყველაზე მეტი მხარდაჭერით იქნენ არჩეულნი და ყოველგვარი ხელოვნური ჩარევა მაქსიმალურად უნდა იქნეს გამორიცხული. შესაბამისად, პროფესიული თანამდებობის მსგავსად, არანაკლებ საფრთხის შემცველია შესაბამისი მხარდაჭერის არმქონე და, ამდენად, არასაკმარისი ლეგიტიმაციის მქონე პირის მიერ ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღების მინდობა. ასევე, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ, სადავო ღონისძიება შემოღებული იქნა საპარლამენტო არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე. შესაბამისად, პოლიტიკურ პარტიებს არ მიეცათ გონივრული დრო, წინასწარ ეზრუნათ შესაბამისი რაოდენობის ქალ კანდიდატთა პოპულარიზაციასა და მათი მხარდაჭერის სათანადოდ გაზრდაზე. ამავდროულად, ის პოლიტიკური პარტიები, რომელთაც ბუნებრივად მაღალი ქალთა წარმომადგენლობა ჰყავდათ, უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სხვა პოლიტიკურ პარტიებთან, რომელთაც არ ჰყავდათ საკმარისი რაოდენობის შესაბამისი პოლიტიკური რეიტინგის მქონე ქალი კანდიდატები. აღნიშნულის გათვალისწინებით, განსხვავებული აზრის ავტორები მიიჩნევენ, რომ საარჩევნო სიის ყოველ ოთხეულში მინიმუმ ერთი ქალის გათვალისწინების ვალდებულება უწინააღმდეგეა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით დასულ საარჩევნო უფლებას.

„საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს კარლამენტის წინააღმდეგ“

№1/6/770, 2019 წლის 2 აგვისტო

2019 წლის 2 აგვისტოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №770). დასახელებულ საქმეზე სადავოდ იყო გამხდარი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის სიტყვების „[...] ან, გამონაკლის შემთხვევაში, თუ საქმის გარემოებებისა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული, – ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით“ (2017 წლის 28 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის სიტყვების „[...] ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე“ (2017 წლის 28 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიმართებით.

საქართველოს სახალხო დამცველი არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონოდ დამზადების, შექმნის, შენახვის ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისათვის სანქციის

სახედ ადმინისტრაციული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სადავო ნორმა თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ერთნაირად ითვალისწინებდა როგორც მსუბუქი, ისე მძიმე ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებისათვის. ამასთანავე, სადავო ნორმების რეგულირების ფარგლებში ექცეოდა რიგი ნარკოტიკული საშუალებების იმდენად მცირე ოდენობები, რომ მისგან მომდინარე საფრთხის ხარისხი ვერ გაამართლებდა სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების აუცილებლობას. ამ პირობებში ამგვარი ქმედების ერთადერთი მიზანი ხდებოდა რეპრესია და აკრძალული ქმედების ზოგადი პრევენცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარის მტკიცებით, სადავო ნორმებით გათვალისწინებული სანქციის სახეები – ადმინისტრაციული პატიმრობა და თავისუფლების აღკვეთა იყო აშკარად არაპროპორციული სასჯელი.

მოპასუხე მხარის პოზიციით, სადავო ნორმები ემსახურებოდა ისეთი ლეგიტიმური მიზნების მიღწევას, როგორცაა საზოგადოებისა და მისი წევრების ჯანმრთელობის დაცვა, ნარკოტიკული საშუალებების გავრცელებისა და ნარკომანიის პრევენცია. მოპასუხე დამატებით მიუთითებდა, რომ სადავო ნორმები

სანქციის სახით თავისუფლების აღკვეთის გარდა ითვალისწინებდა სხვა, ალტერნატიული სასჯელის დაკისრების შესაძლებლობას, რაც იძლეოდა სასჯელის ინდივიდუალიზაციისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინების საშუალებას.

მოცემული საქმის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა, ზოგადად, ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონოდ დამზადების, შექმნის, შენახვის ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისათვის, სანქციის სახით, თავისუფლების აღკვეთის და ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების კონსტიტუციურობა. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმების რეგულირების ქვეშ ექცეოდა ერთმანეთისაგან განსხვავებული, ხარისხობრივად სხვადასხვა საზოგადოებრივი საფრთხის შემცველი ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ დამზადება, შექმნა, შენახვა ანდა მოხმარება. ამასთანავე, მცირე ოდენობა შესაძლოა ყოფილიყო როგორც ერთი მოხმარებისათვის საკმარისი, ისე ერთი მოხმარებისათვის საჭიროზე მეტი ოდენობა. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ ცალ-ცალკე შეაფასა სანქციის სახით თავისუფლების აღკვეთის და ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების კონსტიტუციურობის საკითხი, ერთი მხრივ, ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის და პრეკურსორის მოხმარების და აშკარად პირადი მოხმარების მიზნით (ერთი მოხმარებისთვის საჭირო ოდენობით) შექმნის, შენახვისა და დამზადებისთვის და,

მეორე მხრივ, ერთი მოხმარებისთვის საჭიროზე მეტი ოდენობით შექმნის, შენახვისა და დამზადებისთვის.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის ნებისმიერი მონაწილე (მომხმარებელი, დამამზადებელი, მწარმოებელი, შემქმნი და სხვა), გარკვეულწილად, ხელს უწყობდა აკრძალული ნივთიერებების უკანონო ბრუნვას და ქმნიდა „საბაზრო მოთხოვნას“. თავის მხრივ, აკრძალული ნივთიერებების უკანონო ბრუნვა საფრთხეს უქმნიდა საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას. სწორედ ამ საფრთხეების აღკვეთასა და პრევენციას ემსახურებოდა სადავო ნორმები.

საკონსტიტუციო სასამართლომ ერთმანეთისაგან გამიჯნა იმგვარი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება/ერთი მოხმარებისათვის საჭირო ოდენობით შექმნა, შენახვა და დამზადება, რომელიც იწვევდა სწრაფ შეჩვევას ან/და აგრესიულ ქცევას და, რომელსაც ამგვარი ეფექტი არ გააჩნდა. სასამართლოს პოზიციით, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის რისკებს შეიცავდა არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ იმ ნარკოტიკული საშუალების მოხმარება, რომელიც იწვევდა სწრაფ შეჩვევას, აბსტინენციის მდგომარეობის ჩამოყალიბებას ან/და რომლის ზემოქმედების ქვეშ პირი ხდებოდა აგრესიული და დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილი. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით იმგვარი ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარების და აშკარად პირადი მოხმარების მიზნით (ერთი

მოხმარებისთვის საჭირო ოდენობით) შექმნის, შენახვისა და დამზადებისათვის თავისუფლების აღკვეთის დაწესება, რომელიც არ იწვევდა სწრაფ შეჩვევას ან/და აგრესიულ ქცევას, ლოგიკურ კავშირში არ იყო საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვასთან და შემოიფარგლებოდა მხოლოდ საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვით.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის და პრეკურსორის მოხმარების და აშკარად პირადი მოხმარების მიზნით შექმნის, შენახვისა და დამზადებისათვის სანქციის დაწესებას გააჩნდა შემაკავებელი და პრევენციული ეფექტი, ამცირებდა აკრძალული ნივთიერებების უკანონო ბრუნვას. შესაბამისად, სადავო ნორმები ხელს უწყობდა როგორც მოხმარებლის, ისე საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვას. დასახელებულ ლეგიტიმურ მიზნებთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სრულწლოვანი პირის დასჯა საკუთარი ჯანმრთელობისათვის გაცნობიერებული ზიანის მიყენებისათვის წარმოადგენდა სახელმწიფოსგან გამოვლენილი პატერნალიზმის იმგვარ ფორმას, რომელიც შეუთავსებელი იყო თავისუფალ საზოგადოებასთან და ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მოთხოვნებს. ხოლო, რაც შეეხება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ინდივიდუალური მოხმარებლის როლი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის პროცესში იყო ძალიან მცირე, რაც უკანონო ბრუნვის აღკვე-

თის თვალსაზრისით, უმნიშვნელოს ხდიდა მისი დასჯით გამოწვეულ დადებით ეფექტს. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ აკრძალული ნივთიერების პირადი მოხმარება ან ერთი მოხმარებისათვის საჭირო ოდენობით ნარკოტიკული საშუალების დამზადება, შექმნა და შენახვა (როდესაც არ დასტურდება მისი გასაღების მიზანი) წარმოშობდა მისი ბრუნვაში მოქცევის მინიმალურ, ჰიპოთეტურ რისკებს და ამ ქმედებით სხვა პირთა ჯანმრთელობისათვის საფრთხის მიყენების რისკი ძალიან დაბალი იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, პირისათვის თავისუფლების აღკვეთა იმგვარი ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარების და ერთი მოხმარებისთვის საჭირო ოდენობით შექმნის, შენახვისა და დამზადებისათვის, რომელიც არ იწვევდა სწრაფ შეჩვევას ან/და აგრესიულ ქცევას, აშკარად არაპროპორციული სასჯელი იყო და ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მოთხოვნებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ ცალკე შეაფასა ისეთი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისათვის დაწესებული სანქციის კონსტიტუციურობა, რომელიც იწვევდა სწრაფ შეჩვევას ან/და პირის მხრიდან აგრესიულ ქმედებებს და მიიჩნია, რომ ამგვარი ნარკოტიკული საშუალების თუნდაც ერთჯერადი მოხმარება, ისევე, როგორც აშკარად პირადი მოხმარების მიზნით დამზადება, შექმნა და შენახვა შეიცავდა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დარღვევის მაღალ რისკს. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, ამგვარი ნარკოტიკული ნივთიერების

მომხმარებლები აბსტინენციის პირობებში, შესაძლებელია, მიდრეკილნი ყოფილიყვნენ დანაშაულისა და სხვა ანტისოციალური ქმედების ჩადენისაკენ, რაც ქმნიდა რისკებს საზოგადოების უსაფრთხოებისათვის. შესაბამისად, ამგვარი საფრთხის პრევენციისათვის, საკონსტიტუციო სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე კონსტიტუციის შესაბამისად მიიჩნია თავისუფლების აღკვეთის სასჯელის გამოყენება ერთი მოხმარებისათვის საჭიროზე მეტი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების დამზადების, შექმნისა, და შენახვისათვის. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ, მართალია, ერთი მოხმარებისათვის საჭირო ოდენობაზე მეტი ნარკოტიკული საშუალების დამზადება, შექმნა ან შენახვა, ყველა შემთხვევაში, არ გულისხმობდა მისი გასაღების

მიზნის არსებობას, თუმცა ნარკოტიკული საშუალების ოდენობის ზრდასთან ერთად, იზრდებოდა მასზე საზოგადოების წევრების, მათ შორის, არასრულწლოვნების ხელმისაწვდომობა და პოტენციურ მომხმარებელთა რაოდენობა, საბოლოოდ კი, აკრძალული ნივთიერებების უკანონო ბრუნვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ პოზიციით, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის ხელშეწყობა ისეთი ქმედებებით, როგორც არის ნარკოტიკული საშუალების, პრეკურსორის, მისი ანალოგის (ერთი მოხმარებისათვის საჭიროზე მეტი ოდენობით) უკანონო დამზადება, შექმნა და შენახვა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი იყო და ხსენებული ქმედებისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ვერ ჩაითვლებოდა აშკარად არაპროპორციული სასჯელის ზომად.

„ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს კარლამენტის წინააღმდეგ“ №1/4/693,857, 2019 წლის 7 ივნისი

2019 წლის 7 ივნისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს კარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელები №693 და №857). საქმეზე სადავოდ იყო გამხდარი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები, რომლებიც არეგულირებდა პერსონალური მონაცემების შემცველი საჯარო ინფორმაციის გაცემის წესს.¹ სადავო ნორმები ზღუდავდა პერსონალური მონაცემის შემცველი საჯარო ინფორმაციის გაცემას, ხოლო თუ ამგვარი მონაცემი მიეკუთვნებოდა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს, სრულად იყო აკრძალული მისი გასაჯაროება ან/და მესამე პირისთვის გადაცემა მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე.

მოსარჩევეების განმარტებით, დაინტე-

რესებული პირისთვის სასამართლოს გადაწყვეტილების დაუპტრიხავი სახით მიწოდება ემსახურება მართლმსაჯულების გამჭვირვალობას და დაცულია საჯარო ინფორმაციაზე წვდომის უფლებით. მოსარჩევე მხარემ მიუთითა, რომ სადავო ნორმების საფუძველზე ის ვერ ახერხებდა საერთო სასამართლოებში საჯარო სხდომის შედეგად მიღებული მართლმსაჯულების აქტების მოპოვებას. კერძოდ, სასამართლო უარს ამბობდა აღნიშნული დოკუმენტების გაცემაზე მათში არსებული პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით, მათ შორის, მათი დაშიფრული ფორმით გაცემის მოთხოვნის დროსაც. მოსარჩევეთა აზრით, ამგვარი მოწესრიგება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი).

მოპასუხემ არ გაიზიარა მოსარჩევე მხარის პოზიცია და აღნიშნა, რომ სადავო ნო-

1 №693 კონსტიტუციური სარჩელები - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) 44-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველ პუნქტთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიმართებით.

№857 კონსტიტუციური სარჩელები - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) 28-ე მუხლის პირველი ნაწილის, 44-ე მუხლის პირველი ნაწილის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველ პუნქტთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიმართებით.

რმები ემსახურებოდა მხარეთა და საქმის განხილვის სხვა მონაწილეთა პერსონალური მონაცემების დაცვას. მოპასუხის მითითებით, კანონმდებლობა უშვებდა პერსონალური მონაცემის შემცველი დოკუმენტის მესამე პირისთვის გადაცემის შესაძლებლობას და დაცული იყო ინტერესთა ბალანსი. საქართველოს პარლამენტის პოზიციით, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებში ექცეოდა სენსიტიური ინფორმაცია და მონაცემის სუბიექტის თანხმობის გარეშე ამ ინფორმაციის გაცემის აკრძალვა გამართლებული იყო. შესაბამისად, სადავო ნორმები სრულად პასუხობდა კონსტიტუციის მოთხოვნებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლება საზოგადოების თითოეულ წევრს აძლევს შესაძლებლობას, იყოს ინფორმირებული მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, აქტიურად და ეფექტურად ჩაერთოს მათ განხილვასა და გადაწყვეტაში. ეს ყოველივე ემსახურება საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საზოგადო მიზანს - საზოგადოებრივი კონტროლის ხელშეწყობას, სახელმწიფოს საქმიანობაში მოქალაქეების მონაწილეობას. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმები აწესრიგებდა, ზოგადად, ნებისმიერ საჯარო დაწესებულებაში არსებული პერსონალური მონაცემების შემცველი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხს. სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმების კონ-

სტიტუციურობა შეათვალა მხოლოდ საერთო სასამართლოების მიერ ღია სხდომის ფარგლებში მიღებული სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის კონტექსტში.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საერთო სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას მიღებული აქტების გაცნობის უფლება დაცული იყო საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მიღების უფლებით. სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმები ზღუდავდა პერსონალური მონაცემების შემცველი სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების უფლებას, ხოლო დეპერსონალიზაციის შეუძლებლობის შემთხვევაში აქტი საერთოდ არ გაიცემოდა. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა ჩარევა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ სფეროში.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია და აღნიშნა, რომ სადავო ნორმების ლეგიტიმური მიზანი იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვა. ამავდროულად, სასამართლომ აღნიშნა რომ პერსონალური ინფორმაციის ღია სხდომაზე გამჟღავნებას აქვს იმნუთიერი ეფექტი, რაც განსხვავდება იგივე მონაცემის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემისგან. ეს უკანასკნელი აფართოებს პირთა წრეს და, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, სასამართლო სხდომის საჯაროობასთან შედარებით, უფრო ინტენსიურად ზღუდავდეს პირადი ცხოვრების უფლებას. ამდენად, ღია სასამართლო სხდომის ჩატარების პირობებში საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილების კონფიდენციალობაზე პირის

ინტერესი, თავისთავად, არ გამოირიცხა და სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებად მიიჩნია.

აუცილებლობის ეტაპზე საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის ნებაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოქნილ მექანიზმს, რომლის გამოყენებითაც ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე სრულწლოვან პირს შეუძლებდა, უარი თქვას საკუთარი პერსონალური მონაცემების დაცვაზე. კანონმდებლობა ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში მოითხოვს პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის თანხმობას, ხოლო გადაწყვეტილების ასლის მიმღები პირისთვის, როგორც წესი, არ არის ცნობილი ამ სუბიექტის ვინაობა. სასამართლოს შეფასებით, არსებული სისტემის ფარგლებში სასამართლოს გადაწყვეტილების სრული ტექსტის მოპოვება ფაქტობრივად შეუძლებელი ხდებოდა, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როდესაც პერსონალური მონაცემების სუბიექტებს არ გააჩნიათ პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ინტერესი, მეტიც - სურვილი აქვთ, რომ საზოგადოება გაეცნოს აღნიშნულ ინფორმაციას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ასეთ შემთხვევებში სადავო ნორმები საჯარო დაწესებულებებში არსებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას ზღუდავდა იმაზე მეტი ინტენსივობითა და მოცულობით, ვიდრე ეს აუცილებელი იყო ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და ვერ აკმაყოფილებდა აუცი-

ლებლობის მოთხოვნას.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, თუ პირს აქვს სასამართლო აქტში საკუთარი პერსონალური მონაცემის დაცვის სურვილი, ეს ავტომატურად არ უნდა ქმნიდეს ამ მონაცემის დაფარვისა და მასზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის საფუძველს. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ამგვარ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდებოდა კონსტიტუციით დაცული ორი უფლება და კონფლიქტურ ინტერესთა შორის ბალანსი ვიწრო პროპორციულობის ეტაპზე გადაწყვიტა.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ საჯარო დაწესებულებაში დაცულ ნებისმიერი სახის ინფორმაციას და საზოგადოებისათვის მის ხელმისაწვდომობას არ აქვს თანაბარი მნიშვნელობა. საჯარო ინფორმაციის გარკვეული კატეგორიის მიმართ შესაძლოა, არსებობდეს ღიაობის მომეტებული ინტერესი. საკონსტიტუციო სასამართლომ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის უპირველეს ინტერესად მართლმსაჯულების გამჭვირვალობა დაასახელა. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუცია მართლმსაჯულების გამჭვირვალობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და მას სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის სამოქმედო პრინციპად განიხილავს.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში განუზომლად დიდია მართლმსაჯულების განხორციელებაზე და, განსაკუთრებით, სასამართლოს მიერ მიღებულ აქტებზე საზოგა-

დოებრივი ზედამხედველობის მნიშვნელობა. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობას, განახორციელოს სასამართლო ხელისუფლების საზოგადოებრივი კონტროლი. ხალხს უნდა შეეძლოს, ფართო საზოგადოებრივი განხილვის საგნად აქციოს და შეაფასოს სასამართლოს თითოეული გადაწყვეტილება, მასში გაკეთებული განმარტება და დადგენილება. მნიშვნელოვანია, დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სასამართლოს აქტების სრული ტექსტი, მათ შორის, მათში არსებული პერსონალური მონაცემებიც, ვინაიდან რიგ შემთხვევებში პერსონალური მონაცემების გარეშე შეუძლებელია სრულყოფილად შეფასდეს, რამდენად ობიექტურად და მიუკერძოებლად მიიღო სასამართლომ ესა თუ ის გადაწყვეტილება.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ მართლმსაჯულების გამჭვირვალობა სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და სამართლებრივი უსაფრთხოების ნაწილიც არის. სასამართლოს შეფასებით, ნებისმიერი ადამიანი უფლებამოსილია, ჰქონდეს მის მიმართ მიმდინარე სამართალწარმოების ფარგლებში მიღებული აქტების საზოგადოებისთვის გაცნობის, საზოგადოების მიერ მის საქმეზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. ამავდროულად, კანონმდებლობა სიცოცხლისუნარიანი ხდება სასამართლოს პრაქტიკაში. სასამართლო ხელისუფლება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ორგანოთა არქიტექტურაში არის ის შტო, რომელიც საბოლოო სიტყვას ამბობს კანონმდებლობის განმარტებისა და გამო-

ყენების თაობაზე. ამდენად, სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს პირის შესაძლებლობას, იცოდეს კანონმდებლობის შინაარსი, როგორ ხდება მისი გამოყენება და რას მოითხოვს თითოეული საკანონმდებლო რეგულაცია მისი აღრესატებისაგან. დასახელებულ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის მიმართ არსებობს მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ საჯარო დაწესებულებებში არსებული პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა ემსახურება და ორგანულად უკავშირდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ხარისხი იცვლება ადამიანის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებით გამოწვეული ნეგატიური გავლენის ზრდასთან ერთად. ნეგატიური გავლენის ინტენსივობა და, შესაბამისად, ინფორმაციის დაცვის მაღალი ინტერესი შესაძლოა, განაპირობოს ინფორმაციის კატეგორიამ, მიღებასა და გამჟღავნებასთან დაკავშირებულმა გარემოებებმა და სხვა მნიშვნელოვანმა ფაქტორებმა.

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადავო ნორმები ზღუდავს ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული აქტების ხელმისაწვდომობას. სასამართლოს

შეფასებით, მათში ასახული ინფორმაციის კონფიდენციალობის ხარისხი, როგორც წესი, დაბალია და ვერ გადანონის სასამართლოს გადაწყვეტილებების ღიაობის აღმატებულ კონსტიტუციურ ინტერესს. თუმცა სასამართლომ დაუშვა იმის შესაძლებლობა, რომ კონკრეტულ შემთხვევებში საჭირო იყოს პერსონალური მონაცემების დაფარვა ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებულ აქტში. ასეთ შემთხვევებში უნდა შეფასდეს, რამდენად გადანონის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საჭიროება სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის მომეტებულ კონსტიტუციურ ინტერესს.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმები დაპირისპირებულ სიკეთეთა შორის ბალანსს თითქმის უპირობოდ წყვეტდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სასარგებლოდ. სასამართლოს განმარტებით, პერსონალური მონაცემების სასარგებლოდ დადგენილი პირველადი ბალანსი არ არის თავსებადი საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ღირებულებათა წესრიგთან. ასეთი რეგულაციის პირობებში რამდენადმე მცირდება მართლმსაჯულების საზოგადოებრივი კონტროლისა და, შესაბამისად, საზოგადოებრივი ნდობის ხარისხი. არაერთ შემთხვევაში, დაინტერესებული პირისათვის უშუალოდ პერსონალური მონაცემების გაცნობის გარეშე შეუძლებელია მომეტებული ინტერესის დასაბუთება. თითოეულ შემთხვევაში სასამართლოს აქტში მოცემული პერსონალური მონაცემების გაცემისას ინფორმაციის ღიაობის მომეტებული ინტერესის დასაბუთების მოთხოვნა გამორიცხავს სასა-

მართლოს გადაწყვეტილებების შემთხვევითი პრინციპით კონტროლს, მათში შესაძლო გადაცდომების, მიკერძოების ტენდენციებისა თუ შერჩევითი მართლმსაჯულების ეფექტიან საზოგადოებრივ ზედამხედველობას. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, შეზღუდვის ინტენსივობა კიდევ უფრო იზრდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ვერ ხდება სასამართლოს აქტის დეპერსონალიზებული ფორმით გაცემის უზრუნველყოფა და დაინტერესებული პირებისათვის სრულად ხელმიწვდომელია სასამართლოს აქტი, რაც არა მხოლოდ გამორიცხავს შემთხვევით კონტროლს, არამედ - უგულებელყოფს სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნას - საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სასამართლოს გადაწყვეტილებებში მოცემული დასაბუთება - მოქმედი კანონმდებლობის ავტორიტეტული განმარტება.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამორიცხა ბალანსის შებრუნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სასარგებლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება მისი შინაარსის, სუბიექტის, გასაჯაროების ფორმის, ვადის, მეთოდის თუ სხვა გარემოებების გათვალისწინებით, განსაკუთრებით ინტენსიურ გავლენას ახდენს პირადი ცხოვრების უფლებაზე. აღნიშნულის საილუსტრაციოდ სასამართლომ მოიყვანა მონაცემები არასრულწლოვანი პირების შესახებ ინფორმაცია ინტიმურ სფეროებთან დაკავშირებით. ამავდროულად, სასამართლომ მიუთითა, რომ ამგვარ განსაკუთრებულ შემთხვევაშიც კი უნდა არსებობდეს შესაბამისი გადაწყვეტილების გასაჯაროების

შესაძლებლობა სასამართლოს გადანყვეტილების მიმართ განსაკუთრებით მაღალი საჯარო ინტერესის პირობებში.

წარმოდგენილი არგუმენტებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმებით დადგენილი

იყო არაკონსტიტუციურ ინტერესთა ბალანსი სასამართლოს გადანყვეტილებების ხელმისაწვდომობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვას შორის, რაც არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.

„შპს „სკს“ საქართველოს კარლამენტის წინააღმდეგ“ №1/1/655, 2019 წლის 18 აპრილი

2019 წლის 18 აპრილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ მიიღო გადანყვეტილება საქმეზე შპს „სკს“ საქართველოს კარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩელი №655).

№655 კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3¹ პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებებთან მიმართებით.

გასაჩივრებული რეგულაციით დადგენილი იყო, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შპს „საქართველოს ფოსტისაგან“ საფოსტო და საკურიერო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე არ ვრცელდებოდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.

მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, რომ გასაჩივრებული ნორმა შპს „საქართველოს

ფოსტას“ ანიჭებდა ექსკლუზიურ უფლებას, პირდაპირი შესყიდვის გზით, საჯარო უწყებებისათვის გაენია საფოსტო და საკურიერო მომსახურება. შედეგად, ფაქტობრივად, გამოირიცხებოდა ამავე ბაზარზე მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტების მიერ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის შესაძლებლობა. აღნიშნული შპს „საქართველოს ფოსტას“ ანიჭებდა საფოსტო და საკურიერო მომსახურების მიწოდების ექსკლუზიურ უფლებამოსილებას და ქმნიდა ბაზარზე მისი მონოპოლისტად დამკვიდრების სამართლებრივ წინაპირობას. მოსარჩელის პოზიციით, ამგვარი რეგულაცია ეწინააღმდეგებოდა მენარმეობისა და კონკურენციის თავისუფლების კონსტიტუციურ უფლებას.

მოპასუხის, საქართველოს კარლამენტის წარმომადგენლის განმარტებით, სადავო რეგულაციით გათვალისწინებული ღონისძიება ემსახურებოდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხელმისაწვდომ ფასად მიწოდების ლეგიტიმურ მიზანს. მოპასუხის არგუმენტაციით,

შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ საფოსტო და საკურიერო მომსახურების მიწოდების სტანდარტები შესაბამებოდა აღნიშნულ სფეროში მოქმედი საერთაშორისო დოკუმენტებით დადგენილ ხარისხობრივ და სატარიფო სტანდარტებს. ამასთან, სადავო ნორმის საფუძველზე, შემსყიდველ ორგანიზაციებს ჰქონდათ შპს „საქართველოს ფოსტასთან“ პირდაპირი წესით ხელშეკრულების გაფორმების უფლება და არა ვალდებულება. შესაბამისად, მათ გააჩნდათ ტენდერის გამოცხადების უფლებამოსილება, რა შემთხვევაშიც საფოსტო და საკურიერო ბაზარზე საქმიანობის განმახორციელებელ ეკონომიკურ აგენტებს ექნებოდათ მასში მონაწილეობის შესაძლებლობა. შესაბამისად, მოპასუხე მხარე მიუთითებდა, რომ გასაჩივრებული ნორმა არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ორგანოებს და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ სხვა სუბიექტებს გააჩნდათ საფოსტო და საკურიერო მომსახურების შესყიდვის შესაძლებლობა მხოლოდ შპს „საქართველოს ფოსტისაგან“ სახელმწიფო შესყიდვების მიმართ დადგენილი პროცედურული მოთხოვნების გვერდის ავლით იმგვარად, რომ არ მიეღოთ მხედველობაში ამავე მომსახურების მიწოდებელი სხვა ეკონომიკური აგენტების შეთავაზებები. ასეთ პირობებში შპს „საქართველოს ფოსტას“ ენიჭებოდა მნიშვნელოვანი საბაზრო უპირატესობა, რამდენადაც, ამავე ბაზარზე არსებული სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან განსხვავებით, მას, სახელ-

მნიფო შესყიდვების განმახორციელებელი ორგანიზაციების სახით, უკვე ჰყავდა საკმაო რაოდენობის გარანტირებული შემსყიდველი. შესაბამისად, სახეზე იყო ეკონომიკური აგენტისათვის საბიუჯეტო სახსრების გამოყენებით, შერჩევითად, ისეთი სარგებლის მინიჭება, რომელიც აუჭობესებდა მის საბაზრო მდგომარეობას და ქმნიდა მენარმეობისა და კონკურენციის შეფერხების რისკებს. ამგვარად, სადავო რეგულაცია ზღუდავდა მენარმეობისა და კონკურენციის თავისუფლების კონსტიტუციურ უფლებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა საქართველოს კარლამენტის პოზიცია და მიუთითა, რომ მოსახლეობისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზანია. ამასთან, ნაკლებად დასახლებულ და ძნელად მისასვლელ ადგილებში საფოსტო და საკურიერო მომსახურების მიწოდება ეკონომიკური აგენტებისათვის შესაძლებელია, კომერციული თვალსაზრისით, არ ყოფილიყო მომგებიანი. შესაბამისად, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურებების ხელმისაწვდომ ფასად განვიცხადების შესაბამის ბაზარზე ჩარევა დასაშვებად იქნა მიჩნეული, რაც შესაძლებელია განხორციელებულიყო კონკრეტული ეკონომიკური აგენტისათვის, მათ შორის, შპს „საქართველოს ფოსტისათვის“ სარგებლის მინიჭების გზით. ამავდროულად, ეკონომიკური აგენტისთვის მინიჭებული სარგებელი უნდა ყოფილიყო განუყოფელი მომსახურების თანაზომიერი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს კანონმდებლობა (ა) მკაფიოდ არ განსაზღვრავდა შპს „საქართველოს ფოსტისათვის“ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხელმისაწვდომ ფასად განწვევის ვალდებულებას, (ბ) არ ადგენდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხელმისაწვდომ ფასად განწვევის ეკონომიკური ხარჯების გამოთვლის გამჭვირვალე და ობიექტურ პარამეტრებს და (გ) არ არსებობდა შპს „საქართველოს ფოსტისათვის“ შეღავათის მინიჭე-

ბის იმგვარი წესი, რომელიც გამორიცხავდა მისთვის იმაზე მეტი სარგებლის მინიჭების შესაძლებლობას, ვიდრე შესაბამისი ეკონომიკური ხარჯების და გონივრული მოგების ასანაზღაურებლად იქნებოდა საჭირო. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, დადგინდა, რომ სადავო ნორმა არათანაბომიერად ზღუდავდა მენარმეობისა და კონკურენციის თავისუფლებას და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებას.

„საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“

№2/4/665,683, 2018 წლის 26 ივლისი

2018 წლის 26 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“ (სარჩელის რეგისტრაციის №665/683). აღნიშნულ საქმეზე მოსარჩელე მხარე არაკონსტიტუციურად მიიჩნევა პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სრული შემონმების მარეგულირებელ ნორმებს. სადავო ნორმების თანახმად, სრული შემონმება, მათ შორის, მოიცავდა ბრალდებულისა და მსჯავრდებულის ვალდებულებას, მთლიანად გაეხადა ან გაემიშვებინა სხეულის შესაბამისი ნაწილები.

ასეთ პროცედურას შესაბამისი პირები ექვემდებარებოდნენ პენიტენციური დაწესებულებიდან გაგზავნისას და მიღებისას, სამართლო ან საკნის ტიპის საცხოვრებელ სადგომში განთავსებისას, აგრეთვე სხვა შემთხვევებში, დირექტორისა და მის მიერ უფლებამოსილი მოსამსახურეების მითითებისას.

მოსარჩელის მოსაზრებით, პირის გამიშვლება, უცხო ადამიანის თანდასწრებით, იწვევდა ადამიანის დამცირებას და შეურაცხყოფას. შესაბამისად, მოპყრობის ასეთი ფორმის გამოყენება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში უნდა ყოფილიყო დასაშვები. მოსარჩელე განმარტავდა, რომ აკრძალულ ნივთებს სკანერიც აღმოაჩენდა და, ამდენად,

ადამიანის გამიშვლება ზედმეტად მკაცრ ღონისძიებას წარმოადგენდა. გარდა ამისა, მოსარჩელის მითითებით, სრული შემონმების ჩატარების საფუძვლები ბლანკეტური იყო და გამიშვლება, როგორც შემონმების ფორმა, გამოიყენებოდა ისეთ შემთხვევებში როდესაც ამის საჭიროება არ არსებობდა, მაგალითად დაბალი რისკის პატიმრების მიმართ. მოსარჩელისთვის აგრეთვე პრობლემური იყო დირექტორის გადაწყვეტილებით პირის შემონმებაც, ვინაიდან შესაბამისი კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფდა დირექტორის მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკების პრევენციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარის პოზიციით, სადავო ნორმები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულ ადამიანის უფლებას, დაცული იყოს არაჰუმანური, პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობისგან. აგრეთვე, გასაჩივრებული ნორმები არღვევდნენ საქართველოს კონსტიტუციით დაცულ მოსარჩელის თავისუფალი განვითარების უფლებას (საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი) და პირადი ცხოვრების უფლებას (საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები).

მოპასუხე მხარემ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და განაცხადა, რომ სრული შემონმება ემსახურებოდა პენიტენციური სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, დანაშაულის ან/და სამართალდარღვევის თავიდან აცილების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, აგრეთვე სხვა უფლებათა და

თავისუფლებათა დაცვის მიზნებს. მოპასუხის განმარტებით, სკანერი ვერ ჩაანაცვლებდა სრული შემონმების ღონისძიებას, რადგან არსებობს ცალკეული ნივთები/ნივთიერებები, რომელთა აღმოჩენაც სკანერის აპარატით შეუძლებელია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მართალია, შემონმების მიზნით პირის გამიშვლება, თავისთავად, არ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით აკრძალული მოპყრობის ფორმას, თუმცა ასეთი ღონისძიება უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას და უნდა განხორციელდეს იმგვარი წესით, რომ არ გამოიწვიოს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვა. სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმები წარმოადგენდა მოპასუხის მიერ დასახელებული მიზნების მისაღწევ, გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. საქმის მიმდინარეობისას დადგინდა, რომ შეუძლებელია, სკანერის მეშვეობით ყველა აკრძალული ნივთის (მათ შორის, ძუის ან ქალაღდის), წარწერისა თუ სხვა ობიექტის აღმოჩენა, რომელთა შეტანა, დამზადება, ბრუნვა საფრთხეს უქმნის პენიტენციურ დაწესებულებაში წესრიგს და სხვათა ჯანმრთელობას.

ამის გარდა, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში აკრძალული ნივთების შეტანის/გატანის და დამზადების საფრთხე ვერ გამოირიცხებოდა ვერც ერთი კატეგორიის ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ. ნებისმიერი კატეგორიის ბრალდებული/მსჯავრდებული, ნებით თუ ნების გარეშე, შეიძლება გახდეს და-

წესებულებაში ამგვარი ობიექტების ბრუნვის ხელშეწყობი. შესაბამისად, სასამართლოს განმარტებით, სრული შემონმების ჩატარების აუცილებლობა ყველა მსჯავრდებულისა და ბრალდებულის მიმართ არსებობდა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ გარესამყაროსთან კონტაქტის შემთხვევებში და დაწესებულებაში გადაადგილებისას (სამართლო საკანში მოთავსება) პირის გაშიშვლების დაშვება პასუხობდა კონსტიტუციის მოთხოვნებს.

ამასთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო №200 ბრძანება არ განსაზღვრავდა დირექტორისა და მის მიერ უფლებამოსილი მოსამსახურეების მიერ პირის სრული შემონმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების სახელმძღვანელო კრიტერიუმებს, რაც ქმნიდა უფლებაში მაღალი ინტენსივობით ჩარევის რისკებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, №200 ბრძანებით განსაზღვრული დირექტორის და მის მიერ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით პირის გაშიშვლების უფლებამოსილება სასამართლომ კონსტიტუციის მე-17-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-20 მუხლის პირველი პუნქტის საწინააღმდეგოდ ცნო. ამავე დროს, სასამართლომ კონსტიტუციურად მიიჩნია №116 ბრძანებაში არსებული სრული შემონმების პრაქტიკულად იგივე საფუძველი იმ მოტივით, რომ შესაბამისი ბრძანება შეიცავდა უფლების დაცვის საკმარის გარანტიებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა პირადი ცხოვრების უფლების და მისი შეზღუდვის კონსტიტუციურსამართლებრივი სტანდარტე-

ბის თაობაზე. პირველ რიგში, აღინიშნა, რომ რუტინული შემონმებები კონსტიტუციის მე-20 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების უფლებით არის დაცული. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-20 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვის სასამართლო დათქმა, ყოველთვის აუცილებელი არ არის ამ უფლებაში ჩარევის დროს. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, პირადი ცხოვრების უფლების სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეზღუდვის მოთხოვნა უკავშირდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების კონტროლს. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობა აწესრიგებს ისეთ კონკრეტულ სფეროებს, სადაც ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მუდმივად არსებობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისი საფუძველი, რელევანტურობას კარგავს საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გათვალისწინებული ფორმალური სასამართლო კონტროლი. განსახილველ საქმეზე დადგინდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში, სადავო ნორმებით განსაზღვრულ შემთხვევებში, არსებობდა პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვის მუდმივი საჭიროება. შესაბამისად, პირის ყოველ ჯერზე შემონმებისთვის სასამართლოსადმი მიმართვის აუცილებლობა არ იდგა.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ის გარემოება რომ ცალკეულ ურთი-

ერთობებთან მიმართებით არ გამოიყენება საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის ფორმალური კრიტერიუმი - სასამართლოს გადაწყვეტილების დათქმა, არ ნიშნავს, რომ ასეთი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნო-

რმები არ დაექვემდებარება მატერიალურ კონსტიტუციურსამართლებრივ სტანდარტებთან მიმართებით შემონმებას. შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი ნაწილობრივ დამაყოფილდა.

„საქართველოს მოქალაქეები - მარინე მიზანდარი, გიორგი ჩიტიძე და ანა ჯიქურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
№2/6/1216, 2018 წლის 27 ივლისი

2018 წლის 27 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - მარინე მიზანდარი, გიორგი ჩიტიძე და ანა ჯიქურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1216). დასახელებულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-8 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

სადავო ნორმა გამორიცხავდა რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვისკენ მიმართული, კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი ვალდებულების გავრცელებას. სადავო ნორმიდან გამომდინარე, სახელმწიფოს არ ჰქონდა უფლებამოსილება, ძეგლის მესაკუთრე (კა-

ნონიერი მოსარგებლე) რელიგიური კონფესიებისთვის დაეკისრებინა პასუხისმგებლობა ძეგლის მოვლა-პატრონობის პირობების დარღვევისათვის ან/და მესაკუთრის თანხმობის გარეშე ჩაეტარებინა ძეგლზე გადაუდებელი სარესტავრაციო სამუშაოები.

მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლებას, რადგან სახელმწიფო არაჯეროვნად ასრულებს მასზე დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით. კერძოდ, რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე სახელმწიფო არ ავრცელებს ობიექტების დაცვისათვის აუცილებელ კონტროლის მექანიზმებს მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) მიმართ, რაც ვერ უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის ადეკვატურ და-

ცვას. ამასთანავე, სადავო რეგულირება დისკრიმინაციული იყო, რადგან აღნიშნული კონტროლის მექანიზმებისგან ათავისუფლებდა მხოლოდ რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებულ ძეგლებს, ხოლო ყველა სხვა მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) მიმართ მოქმედებდა განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი.

მოპასუხემ განმარტა, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების რელიგიურ კონფესიებზე გავრცელება მნიშვნელოვნად შეზღუდავდა მათ მიერ რელიგიური დანიშნულების ობიექტების აღმსარებლობისათვის გამოყენებას. ამდენად, მოპასუხე მიუთითებდა, რომ სადავო ნორმა მიზნად ისახავდა აღმსარებლობის თავისუფლად განხორციელების ხელშეწყობას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი სახელმწიფოს უდგენს კონკრეტულ ვალდებულებებს, რათა საზოგადოებრივ ცხოვრებაში უზრუნველყოფილ იქნეს კულტურული გარემოს არსებობა, რაც ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებას წარმოადგენს. სახელმწიფო ვალდებულია, კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს სხვადასხვა გარემო პირობებიდან მომდინარე საფრთხის პრევენციას. ეს უნდა გამოიხატოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ადამიანთა გარკვეული ქმედებების აკრძალვაში და ამ ქმედების ჩადენისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის

დანესებაში. ამასთანავე, დაზიანების შემთხვევაში, შეძლებისდაგვარად, მოახდინოს ძეგლის რესტავრაცია, რაც მიმართული უნდა იყოს ძეგლის თავდაპირველი იერსახის აღდგენისკენ.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო რეგულირება შეეხებოდა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს. კანონმდებლობით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად ითვლება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ან მოძრავი ობიექტი, რომელსაც ამავე კანონით დადგენილი წესით მიენიჭა ძეგლის სტატუსი, რაც დაკავშირებულია მის სიძველესთან, უნიკალურობასთან ან ავთენტურობასთან. სასამართლოს განმარტებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონსტიტუციური უფლების უმთავრესი მიზანია, უზრუნველყოს მატერიალური სახის ისტორიული და კულტურული ღირებულების მქონე კულტურულ მემკვიდრეობაზე წვდომის შესაძლებლობა, რასაც თან სდევს სახელმწიფოს ვალდებულება, ეფექტურად დაიცვას აღნიშნული ობიექტები. კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომელთა საფუძველზეც ობიექტს ენიჭება კულტურული ძეგლის სტატუსი, არ არსებობს საფუძველი, რომ კანონით განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ცნება არ მოექცეს საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში. შესაბამისად, ობიექტები, რომლებზეც ვრცელდება სადავო რეგულირება, დაცულია საქართველოს კონსტიტუციით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ აღმსარებლობის თავისუფლად განხორციელების

ხელშეწყობა, ადამიანის რელიგიის თავისუფლების დაცვისკენ მიმართულ უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა და, შესაბამისად, ამ მიზნით, დასაშვებია იყო საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლების შეზღუდვა. ამასთან, სახელმწიფოს მიერ დანესებული კონტროლის მექანიზმების გაუვრცელებლობა რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებულ ობიექტებზე მათ აძლევდა საშუალებას, თავისუფლად ესარგებლათ საკუთარი ქონებით, მათ შორის, დაბრკოლების გარეშე გამოეყენებინათ იგი რელიგიური რიტუალების აღსასრულებლად. შესაბამისად, სადავო ნორმით დადგენილი რეგულირება წარმოადგენდა დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებას.

სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვის აუცილებლობაზე მსჯელობისას სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფო კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობაზე უარს აცხადებდა, მათ შორის, იმ შემთხვევაში, როდესაც მათი მოვლა რელიგიური რიტუალების აღსრულებას არ ზღუდავდა. ამავე დროს, სადავო ნორმა მოქმედებდა რელიგიური კონფესიების საკუთრებაში არსებულ კულტურულ ძეგლებზე, განურჩევლად იმისა, გააჩნდათ თუ არა მათ საღვთისმსახურო დანიშნულება. ამდენად, სადავო რეგულირების ბლანკეტური ბუნებიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლება იზღუდებოდა იმაზე მეტად, ვიდრე ეს საჭირო იყო ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, იგი ვერ აკმაყოფილებდა აუცილებ-

ლობის მოთხოვნებს და არღვევდა ხსენებულ კონსტიტუციურ უფლებას.

სადავო ნორმის საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან შესაბამისობის შეფასებისას სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო რეგულირება ახდენდა დიფერენცირებას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მესაკუთრის სტატუსის ნიშნით. რელიგიურ კონფესიებს არ ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა იმ ქმედებისათვის, რომლის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სხვა მესაკუთრის მიერ ჩადენაც კანონით დადგენილი წესით ისჯებოდა.

სასამართლოს არგუმენტაციით, ქმედებისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრის პროცესში, შესაძლოა, მხედველობაში იქნეს მიღებული პირის მიერ აღნიშნული ქმედების რწმენის თავისუფლებიდან გამომდინარე ჩადენის ფაქტი. პირი, რომელიც ქმედებას ჩადის რწმენის კარნახით, შესაძლოა, არ იყოს იმ პირის არსებითად თანასწორი, რომლის ქმედებაც არ არის განპირობებული რწმენის თავისუფლებით. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთებოდა, რომ სადავო ნორმა მიმართული იყო უშუალოდ კულტურული მემკვიდრეობის მოვლის ვალდებულების მხოლოდ აღმსარებლობის გამო დარღვევის შემთხვევებზე. შესაბამისად, შესაძარბელი პირები წარმოადგენდნენ არსებითად თანასწორ სუბიექტებს ამ კონკრეტულ სამართალურთიერთობაში.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დიფერენცირება არ ხდებოდა კლასიკური ნიშნით და არ ხასიათდებოდა მაღალი ინტენსივობით. შესაბამისად, მისი კონსტი-

ტუციურობის შეფასებისას გამოიყენა რაციონალური დიფერენციაციის ტესტი. დიფერენცირების რაციონალურობის შეფასებისას სასამართლომ მიუთითა, რომ რელიგიური რიტუალების ჩატარების ხელშეწყობისათვის სახელმწიფოს მიერ რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების

დაცვის ზოგადი ვალდებულების სრულად გამორიცხვა არა მხოლოდ აუცილებლობის მოთხოვნებს არ პასუხობდა, არამედ ასევე არაგონივრული იყო და ვერ აკმაყოფილებდა რაციონალური დიფერენციაციის ტესტის მოთხოვნებს. ამდენად, სასამართლომ დაადგინა სადავო ნორმების საფუძველზე კანონის წინაშე თანასწორობის უფლების დარღვევა.

„საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს კარლამენტის წინააღმდეგ“ №2/7/779, 2018 წლის 19 ოქტომბერი

2018 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №779). დასახელებულ საქმეზე სადავოდ გამხდარი ნორმების თანახმად, ცალკეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოო იყო და არ საჩივრდებოდა.²

მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით და სადავო ნორმებით დადგენილი აკრძალვა არღვევდა სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

მოსარჩელის პოზიციით, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით დიდი ოდენობით ჯარიმის გამოყენება და ხანგრძლივი ვადით მართვის უფლების შეჩერება უნდა საჩივრდებოდეს როგორც პირველი ინსტანციის, ისე - სააპელაციო სასამართლოში. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ დასახელებული სახდელის მინიმალურ ოდენობებთან/ხანგრძლივობასთან დაკავშირებული დავა შესაძლოა დასრულდეს პირველი ინსტანციის სასამართლოში, თუმცა ნორმა ბლანკეტურად ვრცელდებოდა ყველა დავაზე და არღვევდა სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

მოპასუხე მხარის განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული

სამართლიანი სასამართლოს უფლება არ მოითხოვს ყველა შემთხვევაში საქმის სამი ინსტანციით განხილვის უზრუნველყოფას. მოპასუხის პოზიციით, მართალია, მოცემულ შემთხვევაში იზღუდებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლება, თუმცა იგი გამართლებული იყო სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების და პროცესის ეკონომიურობის პრინციპების დაცვის ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმები მართლაც ემსახურებოდა პროცესის ეკონომიურობის უზრუნველყოფის და სასამართლო სისტემის გადატვირთვისგან დაცვის ლეგიტიმური მიზნების მიღწევას. ამასთან, სააპელაციო სასამართლოსადმი წვდომის შეზღუდვით მცირდებოდა სააპელაციო სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა რაოდენობა და სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიება სასამართლოს განტვირთვის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებად ჩაითვადა. ამავდროულად, არ იკვეთებოდა უფლების ნაკლებად მზღუდავი რაიმე ალტერნატიული სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც იმავე ეფექტურობით უზრუნველყოფდა სასამართლოს განტვირთვისას.

შეზღუდვის პროპორციულობის შეფასებისას სასამართლომ დაპირისპირებულ ინტერესებად დაინახა სასამართლოს სისტემის გადატვირთვისგან დაცვის ლეგიტიმური მიზნები და პირის უფლება, სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლოს გადატვირთულობის პრევენცია პირდაპირ კავშირშია მა-

რთლმსაჯულების გამართულ ფუნქციონირებასთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, ყველა შემთხვევაში, თავისთავად ვერ გადაწონის სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვის უმნიშვნელოვანეს ინტერესს. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შეზღუდვა პირის უფლებას არღვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას, კონკრეტული დავიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია.

საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, პირის გასაჩივრების ინტერესს განაპირობებდა სავარაუდოდ ჩადენილი სამართალდარღვევის სიმძიმე. სასამართლომ, ამ შემთხვევაში, სამართალდარღვევის სიმძიმის განსაზღვრისათვის გამოიყენა სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული სანქციის სიმკაცრის კრიტერიუმი. სასამართლოს განმარტებით, სამართალდამრღვევად ცნობის შედეგად, ადამიანზე შემოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ მის მიმართ გამოყენებული სანქციის მოცულობით. სანქციისგან დამოუკიდებლად (მათ შორის, იმ შემთხვევაში, როდესაც სანქცია საერთოდ არ გამოიყენება) პირის სამართალდამრღვევად ცნობას უკავშირდება მისი გავიცხვა, რაც ასევე გარკვეული შემოქმედების ფორმაა. ამდენად, სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით, პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმებთან მიმართებით პირის გასაჩივრების

² დავის საგანი სრულად: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 271-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვების „გარდა ამ კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა“, 272-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის პირველი წინადადების სიტყვების „რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“ და მე-2 წინადადების სიტყვების „რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“; ამავე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის სიტყვების „რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“ და „დ“ ქვეპუნქტის სიტყვების „რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

ინტერესს, განსაზღვრავს არა მხოლოდ პირის მიმართ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული სანქციის მოცულობა, არამედ იმ სამართალდარღვევის სიმძიმე, რომლის ჩადენასაც ედავებიან მას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, არც კონსტიტუციურ სარჩელში და არც საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, მოსარჩელე მხარეს არ დაუსახელებია კონკრეტული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, რომლებთან მიმართებითაც მოითხოვდა სადავო ნორმებით განსაზღვრული წესის კონსტიტუციურობის შემოწმებას. შესაბამისად, დავის ფარგლებში შეუძლებელი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს შეეფასებინა ყველა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სიმძიმე და თითოეულ მათგანთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შეზღუდვის კონსტიტუციურობის საკითხი. აღნიშნულის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, შეფასების მიღმა არ უნდა დარჩენილიყო ისეთი შემთხვევები, როდესაც სანქციის სახე თავისთავად სამართალდარღვევის სიმძიმეზე მიუთითებდა და აუცილებლად მოითხოვდა, სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების უფლების მინიჭებით, მისი კანონიერების გადამოწმების შესაძლებლობის არსებობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სახდელის სახით თავისუფლების აღკვეთის (პატიმრობის) გათვალისწინება, როგორც წესი, თავისთავად მიანიშნებდა სამართალდარღვევის მძიმე ბუნებაზე. შესაბამისად, არსებობდა სასამართლოს გა-

დანყვეტილებების გასაჩივრების მომეტებული ინტერესი იმ სამართალდარღვევათა საქმეებზე, რომელთათვისაც სახდელის სახით გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული პატიმრობა. სადავო ნორმების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოში დავის შესაძლებლობა გამოირიცხებოდა, მათ შორის, ისეთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებთან დაკავშირებით, რომლებზეც სახდელის სახით, სხვა სანქციებთან ერთად, გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული პატიმრობა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ასეთ შემთხვევაში პირს უნდა ჰქონდეს მისი სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა, იმისგან დამოუკიდებლად იყო თუ არა მის მიმართ პატიმრობა გამოყენებული. ამრიგად, სადავო ნორმა, რომელიც გამორიცხავდა ასეთ შემთხვევებში სააპელაციო სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

კონსტიტუციურ სარჩელში ასევე გასაჩივრებული იყო ნორმა, რომლის შესაბამისადაც სააპელაციო სასამართლოში ვერ გასაჩივრდებოდა შინაგან საქმეთა ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის შესახებ. სასამართლოს განმარტებით, სანქციის შეცვლის წარმოების ფარგლებში პირის სამართალდამრღვევად ცნობა არ ხდება, მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი უკვე დადგენილია და ამ ფაქტთან დაკავშირე-

ბით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება რეალიზდება თავდაპირველი სანქციის შეფარდებისას. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ის კონსტიტუციური სტანდარტი, რომელიც მძიმე სამართალდარღვევის ფარგლებში შედარებით მსუბუქი სანქციის გამოყენებისასაც მოითხოვს ორი ინსტანციის სასამართლოზე ხელმისაწვდომობას, არ არის რელევანტური სახდელის შეცვლის წარმოებასთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის ნაწილში, რომელიც გამორიცხავდა საურავის დარიცხვის შესახებ შინაგან საქმეთა ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილების კანონიერებასთან დაკავშირებით მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, ქონებრივი სანქციის არსებობა, თავისთავად, არ მიუთითებს სამართალდარღვევის სიმძიმეზე და საურავის დარიცხვა არ უტოლდება პირისათვის მძიმე სამართალდარღვევის ჩადენაში პასუხისმგებლობის დაკისრებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების არსებობის ერთ-ერთი მიზანია ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. შესაბამისად, გასაჩივრების დაუშვებლობა იმ პირობებში, როდესაც ერთი და იმავე ინსტანციის სასამართლოები ნორმებს განსხვავებულად განმარტავენ, ფაქტობრივად, სააპელაციო მექანიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციაზე უარის თქმას უთანაბრდება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პირმა საკმარისი სიცხადით უნდა იცოდეს, რას მოითხოვს მისგან კანონი, განსაკუთრებით, თუ ეს კანონი ზღუდავს მისი ქმედების თავისუფლებას და აკისრებს პასუხისმგებლობას. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის არსებობის პირობებში სააპელაციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვა, იმისდა მიუხედავად, თუ რომელ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას შეეხებოდა საქმე.

**„სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები - გარნიკ ვარდერესიანი, არტავაზდ ხაჩატრიანი და ანი მინასიანი საქართველოს კარლამენთისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“
№2/9/810,927, 2018 წლის 7 დეკემბერი**

2018 წლის 7 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები - გარნიკ ვარდერესიანი, არტავაზდ ხაჩატრიანი და ანი მინასიანი საქართველოს კარლამენთისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

აღნიშნულ საქმეზე სადავოდ იყო გამხდარი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის №591 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით, სადავო ნორმები უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს უზღუდავდა მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პირის სტატუსის მოპოვების და, შესაბამისად,

აღნიშნულ სტატუსთან დაკავშირებული რიგი სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის მიღების შესაძლებლობას. მოსარჩელეთა მტკიცებით, საქართველოს მოქალაქეები და უცხოელები თანაბრად მონაწილეობენ მაღალმთიანი რეგიონის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროცესში. აღნიშნულის მიუხედავად, სადავო ნორმები შესაბამისი სარგებლის მიღების უფლებას ანიჭებდა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს და ადგენდა მოქალაქეობის ნიშნით დიფერენცირებას, რაც მოსარჩელე მხარის პოზიციით, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მოთხოვნებს.

მოპასუხე მხარემ აღნიშნა, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული დიფერენცირებული მოპყრობა არ იყო მაღალი ინტენსივობის, ვინაიდან მოსარჩელეებს შეეძლოთ მიეღოთ საქართველოს მოქალაქეობა და ესარგებლათ აღნიშნული შეღავათებით. მოპასუხემ შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნებად დაასახელა სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოებისა და საზღვრის დაცვა, აგრეთვე - შეზღუდული რესურსების ეფექტური ათვისება და მიგრაციული პროცესების შეჩერება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ

რთლოს განმარტებით, სადავო ნორმებით დადგენილი იყო დიფერენცირება, რაც გამოიხატებოდა მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, გარკვეული ფინანსური სარგებლის მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე გაცემაში. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ მაღალმთიანი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფდა მოსახლეობის რაოდენობის შენარჩუნება და ზრდა, განურჩევლად მათი მოქალაქეობისა. შესაბამისად, სადავო ურთიერთობის მიზნებისთვის საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეები არსებითად თანასწორ სუბიექტებად შეფასდნენ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, სადავო ნორმებით დადგენილი იყო პირთა დიფერენცირება მოქალაქეობის ნიშნის საფუძველზე, რომელიც არ განეკუთვნება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ კლასიკურ ნიშნებს. ამავდროულად, სადავო ნორმების საფუძველზე, საქართველოს მოქალაქეები იღებდნენ მხოლოდ ნაწილობრივ დახმარებას სახელფასო და საპენსიო დანამატის, საგადასახადო შეღავათისა და ელექტროენერჯის საფასურის ანაზღაურების ფორმით, რის გამოც, სადავო ნორმები, განსახილველ საზოგადოებრივ ურთიერთობებში, მკვეთრად არ აშორებდა შესაძარებელ სუბიექტებს. გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მყარად დადგინდა პრაქტიკის მიხედვით,

დიფერენცირების კონსტიტუციურობა შეფასდა რაციონალური დიფერენცირების ტესტის გამოყენებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ შეზღუდვის გამართლებად არ მიიჩნია სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოება და აღნიშნა, რომ საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა არ არის დიფერენცირების გამართლების თვითკმარი არგუმენტი. სასამართლომ ვერ დაინახა რაციონალური კავშირი სადავო რეგულაციას და საზღვრისპირა რეგიონების დაცვას შორის, ვინაიდან, სოციალური შეღავათები დადგენილია მაღალმთიანი და არა საზღვრისპირა რეგიონებისთვის. ნორმიდან მომდინარე შეზღუდვა, არც საპარლამენტო არჩევნებში მოქალაქეების მონაწილეობასა და ადგილობრივი თვითმმართველობის უკეთ განხორციელების მიზნით იყო გამართლებული და არც მიგრაციული პროცესების კონტროლის საფუძველით, ვინაიდან სადავო ნორმის რეგულირების სფეროს გათვალისწინებით, მისი მიზანმიმართულება არ იყო საიმპერაციო პოლიტიკის მოწესრიგება.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიზანია, ხელი შეუწყოს მაღალმთიანი რეგიონების თანაბარ სოციალურ-ეკონომიკური პროგრესს. სწორედ ამ მიზნის რეალიზება იყო სადავო ნორმების ლეგიტიმური მიზანი. აღნიშნული მიზნის მიღწევას კი, მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფო უზრუნველყოფდა მაღალმთიან რეგიონში დასახლებული პირებისათვის სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის გაცემის ფორმით. საკონსტიტუციო სასამართლომ

აღნიშნა, რომ სოციალურ-ეკონომიკური სა-
რგებლის მიმდებ პირთა ჯგუფის შერჩევის
პროცესში სახელმწიფო სარგებლობს მიხე-
დულების ფართო ფარგლებით. საკონსტი-
ტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სა-
ქართველოს მოქალაქეებს საქართველოს
სახელმწიფოსთან აქვთ უფრო მყარი სამა-
რთლებრივ კავშირი და გარანტიები, ვიდრე
მუდმივი ბინადრობის მქონე უცხო ქვეყნის
მოქალაქეებს. შესაბამისად, სასამართლომ
რაციონალურად მიიჩნია დაშვება, რომ უცხო
ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოს და-
ტოვების აღბათობა უფრო მაღალია, ვიდრე
საქართველოს მოქალაქის მიერ. შესაბამი-
სად, მოლოდინი, რომ სადავო ნორმებით
გათვალისწინებული სარგებლის მიმდები
მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პირე-

ბი გრძელვადიანად გააგრძელებენ მაღა-
ლმთიან დასახლებაში ცხოვრებას, უფრო
მაღალია საქართველოს მოქალაქეების
მიმართ, ვიდრე მუდმივი ბინადრობის ნება-
რთვის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეების
მიმართ. შესაბამისად, უფრო დიდია სადა-
ვო კანონით განსაზღვრული ღონისძიებების
ფორმით სახელმწიფოს მიერ განხორციელე-
ბული ინვესტიციის პოტენციური ეფექტი. აღ-
ნიშნულიდან გამომდინარე, რაციონალურად
ჩაითვალა სახელმწიფოს პოლიტიკა, გაანა-
წილოს შეზღუდული ფინანსური რესურსები
მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე. შე-
საბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ
მიიჩნია, რომ სადავო ნორმები არ ეწინაა-
ღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის
მე-14 მუხლის მოთხოვნებს.

„საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქელაძე და ბიორგი ბურჯანაძე საქართველოს კარლამენტის წინააღმდეგ“ №2/13/1234,1235, 2018 წლის 14 დეკემბერი

2018 წლის 14 დეკემბერს საქართვე-
ლოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე
კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე
„საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქე-
ლაძე და ბიორგი ბურჯანაძე საქართველოს
პარლამენტის წინააღმდეგ“ (№1234 და
№1235 კონსტიტუციური სარჩელები).

მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა 2009
წლის 9 ოქტომბრის საქართველოს სისხლის
სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე
მუხლის მე-4 ნაწილის (2016 წლის 20 თე-

ბერვლიდან 2018 წლის პირველ იანვრამდე
მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობას სა-
ქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან
და 42-ე მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებ-
თან მიმართებით და 1998 წლის 20 თებერ-
ვლის საქართველოს სისხლის სამართლის
საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის პირვე-
ლი ნაწილის სიტყვების: „მონმე ვალდებუ-
ლია გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკუ-
რორის, ... გამოძახებით; სწორად აცნობოს
ყველაფერი, რაც საქმის გამო იცის და უპა-

სუხოს დასმულ შეკითხვებს“, მე-2 ნაწილის
პირველი წინადადების და მე-2 წინადადების
იმ ნორმატიული შინაარსის, რომელიც ითვა-
ლისწინებს პროკურორის ან გამომძიებლის
მიერ გამოძახებული მონმისათვის გამოუცხა-
დებლობის გამო ფულადი სახდელის დაკის-
რების შესაძლებლობას და 309-ე მუხლის
პირველი ნაწილის კონსტიტუციურობას საქა-
რთველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირ-
ველ და მე-6 პუნქტებთან მიმართებით.

სადავო ნორმების თანახმად, სის-
ხლის სამართლის კოდექსის 323-ე-323²,
325-ე-329-ე მუხლებით გათვალისწინებული
დანაშაულების (ტერორიზმთან დაკავშირე-
ბული დანაშაულები) გამომძიებლისა მონმე იკი-
თხებოდა საქართველოს 1998 წლის 20 თე-
ბერვლის სისხლის სამართლის საპროცესო
კოდექსით დადგენილი წესით, დანარჩენ და-
ნაშაულებთან მიმართებით კი - 2009 წლის
9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპრო-
ცესო კოდექსის შესაბამისად. 1998 წლის
სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
ითვალისწინებდა მონმის ვალდებულებას,
გამომძიებლისა და პროკურორის გამოძახე-
ბით გამოცხადებულიყო საგამომძიებო უწყება-
ში და მიეცა ჩვენება. 2009 წლის სისხლის სა-
მართლის საპროცესო კოდექსი მონმის მიერ
ჩვენების მიცემის ვალდებულებას ადგენდა
მხოლოდ მაგისტრატ მოსამართლესთან.
ამავე დროს, ახალი საპროცესო კოდექსი
ითვალისწინებდა დაცვის მხარის მიერ მონ-
მის არსებით სხდომამდე დაკითხვის შესაძ-
ლებლობას, იმ შემთხვევაში თუ მისი არსე-
ბით სხდომაზე გამოცხადება სათუო იყო.

მოსარჩელე როინ მიქელაძის პოზიციით,

სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულის გამო-
ძიებისას მონმის დაკითხვის განსხვავებული
წესების გამოყენება იწვევდა პირთა დიფე-
რენცირებულ მდგომარეობაში ჩაყენებას.
ბრალდებულები, რომელთა წინააღმდეგ
მიმდინარე საქმის გამოძიებისასაც მონმის
დაკითხვა ხდებოდა არა საგამომძიებო ორ-
განოში, არამედ - მაგისტრატ მოსამართლე-
სთან იმყოფებოდნენ უკეთეს სამართლებრივ
მდგომარეობაში სხვა ბრალდებულებთან მი-
მართებით. მოსარჩელე გიორგი ბურჯანაძის
მტკიცებით, დიფერენცირება ხორციელდე-
ბოდა მონმეებს შორის და სადავო ნორმაში
მითითებულ დანაშაულთან დაკავშირებით
საგამომძიებო ორგანოში დაკითხული მონ-
მეები სარგებლობდნენ დაცვის ნაკლები გა-
რანტიით, მაგისტრატ მოსამართლის წინაშე
დაკითხულ მონმეებთან შედარებით. სხენე-
ბულის გათვალისწინებით, მოსარჩელეები
მიუთითებდნენ, რომ სადავო ნორმები ეწი-
ნააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუ-
ციის მე-14 მუხლით დაცულ თანასწორობის
უფლებას.

მოპასუხე მხარის, საქართველოს პარ-
ლამენტის განმარტებით, ახალი საპროცესო
კოდექსის ფარგლებში სრულად შეიცვალა
საგამომძიებო ორგანოების მონმესთან ურთი-
ერთობის წესი და პირის მიერ ჩვენების მიცე-
მა ნებაყოფლობითი გახდა. აქედან გამომდი-
ნარე, არსებობდა რისკი, რომ გარდამავალ
პერიოდში დაბალი სამოქალაქო თვითშეგ-
ნებისა და სამართალდამცავ სისტემასთან
მოქალაქეთა თანამშრომლობის კულტურის
ნაკლებობის გამო პირები არ ითანამშრომ-
ლებდნენ გამომძიებასთან და საფრთხე შეექ-

მნებოდა ეფექტიანი გამოძიების წარმოებასა და მართლმსაჯულების განხორციელებას. შესაბამისად, აუცილებლად იქნა მიჩნეული, გარდამავალ პერიოდში, კანონმდებელს დაეზღვია არსებული რისკები და იმ დანაშაულთა გამოძიებისას, რომელთა მიმართაც არსებობდა მომეტებული საჭიროება, საგამოძიებო ორგანოებს ჰქონოდათ მონშის სავალდებულო დაკითხვის ბერკეტი.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სისხლის სამართლის პროცესში ტერორიზმთან დაკავშირებულ დანაშაულში ბრალდებულ პირებს გააჩნდათ შესაბამისი საპროცესო გარანტიებითა და უფლებებით სარგებლობის მინიმუმ ისეთივე ინტერესი, როგორც აქვთ სხვა, ნებისმიერ დანაშაულში ბრალდებულებს. აქედან გამომდინარე, სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მიზნებისათვის სხვადასხვა დანაშაულში ბრალდებული პირები არსებითად თანასწორი სუბიექტები იყვნენ.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულთა დიფერენცირება გამოიხატებოდა იმაში, რომ ტერორიზმთან დაკავშირებულ დანაშაულში ბრალდებულ პირთა წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიებისას მონშის სავალდებულოდ დაკითხვა ხდებოდა საგამოძიებო ორგანოში და გამომძიებელს/პროკურორს უფრო მარტივად შეეძლოთ კონკრეტული მტკიცებულების - მონშის ჩვენების მოპოვება. ამასთანავე, აღნიშნულ დანაშაულებში ბრალდებული პირები ვერ სარგებლობდნენ 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი რიგი საპროცესო შესაძლებლო-

ბებით (მაგალითად, დასახელებული კოდექსის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მონშის მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვა).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დიფერენცირება ხდებოდა იმის მიხედვით, თუ რომელი დანაშაული ჩაიდინა პირმა. შესაბამისად, სახეზე არ იყო დიფერენცირების კლასიკური ნიშანი. ამასთან, ბრალდებულთა დიფერენცირება არ იყო ინტენსიური ხასიათის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმები დიფერენცირების რაციონალური ტესტის გამოყენებით შეფასდა. დასახელებული ტესტის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ზოგიერთი დანაშაულის გამოძიების პროცესში გამომძიებლის/პროკურორის მიერ მონშის დროებით ძველი წესით დაკითხვა უზრუნველყოფდა გარდამავალ ეტაპზე გამოძიების ეფექტურად განხორციელების ხელშეშლის თავიდან აცილებას. ამასთანავე, კანონმდებლის გადანყვება, რომ ტერორიზმთან დაკავშირებულ დანაშაულთა გამოძიებისას გამომძიებელს/პროკურორს უნდა ჰქონოდა მონშის საგამოძიებო ორგანოში დაკითხვის შესაძლებლობა და მონშე ვალდებულები ყოფილიყო მოცხადებულიყო და ჩვენება მიეცა, რაციონალურ კავშირში იყო დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევასთან და ამ კუთხით, სადავო ნორმები არ არღვევდა კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას.

ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლომ გაუმართლებლად ჩათვალა ბრალდებულთა გარკვეული კატეგორიის მიმართ

დანესებული შეზღუდვა, ესარგებლათ 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი გაუმჯობესებული უფლებრივი რეჟიმით, მათ შორის, მოეთხოვათ მონშის გამოძიების ეტაპზე დაკითხვა მაგისტრალი მოსამართლის წინაშე ამავე კოდექსის 114-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით, თუ მონშის არსებით სხდომაზე გამოცხადება სათუო იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომლის თანახმადაც, ტერორიზმთან დაკავშირებულ დანაშაულთა გამოძიებისას დაცვის მხარის მონშის დაკითხვა ხდებოდა 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და დასახელებულ დანაშაულში ბრალდებული პირები ვერ სარგებლობდნენ 2009 წლის 9 ოქტომბრის კოდექსით მინიჭებული უფლებებით მონშის დაკითხვის კონტექსტში.

საკონსტიტუციო სასამართლომ მონშეთა დიფერენცირებასთან მიმართებით განმარტა, რომ ნებისმიერ მონშეს, იმისდა მიუხედავად, თუ რომელ დანაშაულთან დაკავშირებით ხდება მისი დაკითხვა, ჰქონდა ერთნაირი ინტერესი, დაცული ყოფილიყო მისი უფლებები და არ მომხდარიყო მისთვის რაიმე ტიპის პასუხისმგებლობის დაკისრება. შესაბამისად, შესადარებელი პირები იყვნენ არსებითად თანასწორი, თუმცა, მათ შორის არსებული დიფერენცირება გამართლებული იყო გამოძიების ეფექტურად წარმოებისა და

მართლმსაჯულების აღსრულების მიზნით და არ ირღვეოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მოთხოვნები.

მოსარჩელე მხარე ასევე მიუთითებდა, რომ სადავო ნორმები ეწინააღმდეგებოდა მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის პრინციპს, რამდენადაც, ერთი მხრივ, დაცვის მხარეს არ შეეძლო დასწრებოდა საგამოძიებო ორგანოში მონშის დაკითხვას და ჯვარედინად დაეკითხა იგი, ხოლო, მეორე მხრივ, გასაჩივრებული რეგულაცია საგამოძიებო ეტაპზე მონშის სავალდებულოდ დაკითხვის უფლებას მხოლოდ ბრალდების მხარეს ანიჭებდა.

საკონსტიტუციო სასამართლომ ერთმანეთისაგან გამიჯნა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით დაცული სფეროები და მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი სამართლიანი სასამართლოს უფლების მარეგლამენტირებელი ზოგადი კონსტიტუციური დებულებაა და იცავს სამართლიანი სასამართლოს ყველა იმ უფლებრივ კომპონენტს, რომელიც სახელდებით არ არის მოცემული ამავე მუხლის სხვა პუნქტებში. ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტი კონკრეტულად აღიარებს დაცვის მხარის უფლებას, დაკითხოს საკუთარი მონშე ბრალდების მხარის მონშეთა თანასწორად. შესაბამისად, მონშეთა დაკითხვის კონტექსტში მხარეთა თანასწორობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტით არის დაცული. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ მონშისაღმდეგე მხარის

მონმის ჯვარედინი დაკითხვის უფლება შეჭიბრებითობის ნაწილია და მისი შეზღუდვა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით არის შეფასებადი.

მონმის ჯვარედინ დაკითხვასთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ფარგლებში იმისათვის, რომ საგამოძიებო ეტაპზე მიცემული ჩვენება მტკიცებულა - მონმის ჩვენება გახდეს, აუცილებელია ამ პირის არსებითი განხილვის სხდომაზე დაკითხვა. შესაბამისად, დაცვის მხარეს სწორედ ამ ეტაპზე ჰქონდა ბრალდების მხარის მონმის სასამართლოს (მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულების) წინაშე ჯვარედინად დაკითხვის შესაძლებლობა. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ჯვარედინი დაკითხვის უფლება, ძირითადად, სწორედ არსებით სხდომაზე რეალიზებადი უფლებაა და დაცვის მხარეს აღჭურავს შესაძლებლობით, გამოთქვას აზრი მის წინააღმდეგ მიცემულ ჩვენებაზე და ეჭვქვეშ დააყენოს მისი სანდობა. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა, რომელიც არ ითვალისწინებდა ბრალდებულის უფლებას საგამოძიებო ეტაპზე ჯვარედინად დაეკითხა მონმე, არ ზღუდავდა მხარეთა შეჭიბრებითობის პრინციპს, რამდენადაც დაცვის მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა სისხლის სამართლის პროცესის ყველაზე კრიტიკულ და მნიშვნელოვან ეტაპზე, არსებით სხდომაზე, ჯვარედინად დაეკითხა მონმე და ამ გზით გაეყარნყლებინა მონინააღმდეგე მხარის მტკიცებულება.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ გამოძიების ეტაპზე მონმის დაკითხვა მნიშვნელოვნად ეხმარება მხარეს არსებითი სხდომისთვის პოზიციის მომზადებაში. სადავო მონესრიგების პირობებში ბრალდების მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა, წინასწარ გაიგოს, რა ინფორმაციას ფლობს დასაკითხი პირი და რა ჩვენების მიცემა შეეძლო მას არსებით სხდომაზე. ამის საპირისპიროდ, დაცვის მხარე მოკლებული იყო ამგვარ შესაძლებლობას და იმ პირისგან ინფორმაციის მიღება, რომელიც ნებაყოფლობით არ თანამშრომლობდა, შეეძლო მხოლოდ მისი არსებით სხდომაზე დაკითხვის გზით. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მსგავსი საკანონმდებლო მონესრიგების პირობებში, დაცვის მხარეს უწევდა არსებით სხდომაზე ისეთი მტკიცებულების წარდგენა, რომლის გამოძიების ეტაპზე გამოკვლევის შესაძლებლობაც არ მისცემია. შესაბამისად, დაცვის მხარე ობიექტურად ვერ განსაზღვრავდა, რა ინფორმაციას მოაწვდიდა პირი სასამართლოს და იყო თუ არა ეს ინფორმაცია მისი პოზიციის გამამყარებელი. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელე მხარის პოზიცია, რომ გამოძიების ეტაპზე მონმის სავალდებულოდ დაკითხვის უფლების მხოლოდ ბრალდების მხარისათვის მინიჭება ზღუდავდა მონმეთა ერთსა და იმავე პირობებში გამოძახებისა და დაკითხვის უფლებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ დაცვის მხარისათვის საგამოძიებო ეტაპზე მონმის დაკითხვის უფლების მინიჭება ვერ შეაფერხებდა გამოძიების ეფექტურად

წარმოებას და არ იქონიებდა უარყოფით გავლენას საგამოძიებო ორგანოთა საქმიანობაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ, შესაძლოა, საგამოძიებო ეტაპზე დაცვის მხარემ მონმის სავალდებულოდ დაკითხვა საკუთარი რესურსით ვერ განახორციელოს და ამ პროცესში სასამართლოს ან სხვა ორგანოს ჩართვა გახდეს საჭირო. აქედან გამომდინარე, ამ უფლების შეზღუდვის მიზანი, შესაძლოა, სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვა იყოს. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განხილულ შემთხვევაში არ იკვეთებოდა სასამართლოს განსაკუთრებულად გადატვირთვის თავისთავადი რისკები. ამასთანავე, მონმის დაკითხვის პროცესში მხარეთა თანასწორობა და ბრალდებულის უფლებათა სრულყოფილი რეალიზაცია იმდენად ღირებული კონსტიტუციური სიკეთეა, რომ მისი სადავო ნორმით დადგენილი ფორმით, ბლანკეტურად შეზღუდვა ვერ გამართლდებოდა სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვის მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საგამოძიებო ეტაპზე მონმეთა სავალდებულოდ დაკითხვის უფლების მხოლოდ ბრალდების მხარისათვის მინიჭება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საგამოძიებო ეტაპზე მონმეთა სავალდებულოდ დაკითხვის უფლების მხოლოდ ბრალდების მხარისათვის მინიჭება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტს.

„საქართველოს მოქალაქეები ნადია ხურციძე, დიმიტრი ლომიძე და ტარიელ ჩოჩიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ №1/1/650, 699, 2017 წლის 27 იანვარი

2016 წლის 28 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ნადია ხურციძე, დიმიტრი ლომიძე და ტარიელ ჩოჩიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. (კონსტიტუციური სარჩელები №650, №699)

მითითებულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის

პირველი და მე-4 ნაწილების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან და 42-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით.

მოსარჩელეთა მტკიცებით, რამდენადაც სადავო ნორმების მოქმედებით იზღუდება სისხლის სამართლის სასამართლო პროცესში დაცვის მხარის შესაძლებლობა, სასამართლოს მიმართოს კომპიუტერულ სისტემაში, ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში განთავსებული ინფორმაციის,

ან დოკუმენტაციის გამოთხოვის შუამდგომლობით და აღნიშნული უფლება ენიჭება მხოლოდ ბრალდების მხარეს, იგი არღვევს თანასწორობისა და შეჭიბველობის პრინციპების მოქმედებას.

მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ იმ პირობებში, როდესაც დაცვის მხარეს სრულად შეზღუდული აქვს კონკრეტული სახის მტკიცებულებათა მოპოვება ბრალდების მხარის „კეთილი ნების“ გარეშე, მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე დაფუძნებული განაჩენი ვერ დააკმაყოფილებს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის მიერ დადგენილ სტანდარტს მტკიცებულებათა საპროცესო ოპონენტის დასაბუთებული კრიტიკის გარეშე და ვერ იქნება დაფუძნებული უტყუარ მტკიცებულებებზე. მოსარჩელეთა განმარტებით, სადავო ნორმებით აგრეთვე იზღუდება დაცვის უფლების წვდომა ინფორმაციის ფართო სპექტრზე, რაც, შესაბამისად, აბრკოლებს დაცვის უფლების სათანადოდ გამოყენებას სადავო ნორმების რეგულირების ობიექტის - კომპიუტერული წესით შენახული მონაცემების მიმართ.

საკონსტიტუციო სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, ხაზი გაუსვა დაცვის მხარის რეალური და ადეკვატური შესაძლებლობის მინიჭების აუცილებლობას, შეჭიბველობით პროცესის ფარგლებში გააქარწყლოს ბრალდების არგუმენტაცია, რაც მოიცავს ბრალდების მხარის მტკიცებულების გამოკვლევას და მათზე შედავების უფლებას, ასევე მტკიცებულებების მოპოვების უფლებას. სასამართლომ მიუთითა, რომ, ვინაიდან სა-

ქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პროცესი წარმართება შეჭიბველობითი მოდელის შესაბამისად, მხარეს საშუალება უნდა ჰქონდეს, ზეგავლენა მოახდინოს პროცესზე - გონივრული შესაძლებლობა იმისა, რომ მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულებები და დაიცვას საკუთარი ინტერესები. შესაბამისად, კანონმდებლობა მას არ უნდა აყენებდეს მონიშნულ მდგომარეობაში და უნდა აძლევდეს საშუალებას, ეფექტურად განახორციელოს დაცვის უფლება.

სასამართლომ მიუთითა თანამედროვე ტექნოლოგიის სწრაფ განვითარებასა და ნებისმიერი ინფორმაციის (წერილობითი დოკუმენტაცია, ვიდეო ან აუდიო ჩანაწერები, საჯარო ან საიდუმლო ინფორმაცია) ელექტრონულ არქივებში შენახვის ზრდად ტენდენციამ საჯარო დანესებულებების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ და განსაზღვრა, რომ სადავო ნორმა დაცვის მხარეს უზღუდავს წვდომას სისხლის სამართლის პროცესისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ფართო სპექტრზე, მესამე მხარეთა და კონსტიტუციური ინტერესების მიმართ არსებული საფრთხეების გათვალისწინების გარეშე.

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმების მზღუდავ ხასიათთან მიმართებით მსჯელობისას განმარტა, რომ სადავო ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამოიხატავს დაცვის მხარის მიერ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცე-

მის შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას, ქმნის საკანონმდებლო რეალობას, სადაც სამართალწარმოების ფარგლებში კომპიუტერული წესით დაცული ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ ბრალდების მხარისათვის და მის „კეთილ ნებაზე“ დამოკიდებული პროცესის ფარგლებში დაცვის მხარის მიერ დაცვის უფლების განხორციელება.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ კონკრეტული სახის მტკიცებულებებზე დაცვის მხარის წვდომის გამორიცხვა სისხლის სამართლის პროცესის შეჭიბველობითი მოდელის პირობებში იწვევს ბრალდების მხარის არგუმენტების უტყუარობის შემომშენებლობას მათი დაცვის მხარის კონტრარგუმენტებთან შეჯერების მეშვეობით და იქმნება მდგომარეობა, როდესაც შესაძ-

ლებელია, საბოლოო განაჩენი დაფუძნებული იყოს მხოლოდ ბრალდების მხარის არგუმენტაციაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელები №650, №699 და არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა დაცვის მხარის მიერ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან, 42-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით.

„საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალის საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ №3/4/550, 2017 წლის 17 ოქტომბერი

2017 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალის საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №550) და ნაწილობრივ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა.

№550 კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე მხარე ითხოვდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლისა და 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით.

სადავო ნორმები ადგენდა საჯარო რეესტრში მესაკუთრედ არასწორად რეგისტრირებული პირის მიერ საკუთრების გასხვისებისას კეთილსინდისიერი შემძენის დამცავ წესებს. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ხოლო, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც რეესტრში მესაკუთრედ არასწორად რეგისტრირებული პირისაგან იძენს ქონებას, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა.

მოსარჩელე ითხოვდა არაკონსტიტუციურად ყოფილიყო მიჩნეული სადავო ნორმები, რამდენადაც ისინი გამორიცხავდნენ ნამდვილი მესაკუთრის უფლებას, დაებრუნებინა საკუთრების უფლება არამართლზომიერად გასხვისებულ უძრავ ქონებაზე. ამასთანავე, მოსარჩელე განმარტავდა, რომ არც საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა და არც კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ნამდვილი მესაკუთრის მიერ საკუთრების უფლების დაბრუნების შესაძლებლობას, დავის შემთხვევაში უპირატესობა ყოველთვის კეთილსინდისიერ შემძენს ენიჭება და თავდაპირველი მესაკუთრის საკუთრების უფლება რჩება დაუცველი. მოსარჩელე მხარე აპე-

ლირებდა მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით არსებულ მოდელზე და მიუთითებდა, რომ უძრავი ნივთების შეძენის წესი მოძრავი ნივთების ანალოგიურად უნდა განისაზღვროს, კერძოდ, მოსარჩელე კონსტიტუციის შესაბამისად მიიჩნევდა წესს, რომლის მიხედვითაც, კეთილსინდისიერი შემძენი ვერ გახდება ნივთის მესაკუთრე, თუ ნივთი თავდაპირველი მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი მფლობელობიდან.

მოპასუხე მხარის განმარტებით, სადავო რეგულაცია წარმოადგენს კეთილსინდისიერი შემძენისა და თავდაპირველი მესაკუთრის ინტერესების სამართლიანი დაბალანსების მექანიზმს. იგი ემსახურება სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის, საჯარო რეესტრის ჩანაწერისადმი სანდოობის და საკუთრების შეძენის პროცესის სიმარტივისა და სიიარსის უზრუნველყოფას. მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რჩება კეთილსინდისიერ შემძენს, თავდაპირველ მესაკუთრეს შეუძლია, ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს იმ პირისაგან, ვისმა ქმედებამაც საკუთრების უფლების დაკარგვა გამოიწვია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, მოახდინა სასარჩელო მოთხოვნის იდენტიფიცირება და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი შეეხება მხოლოდ უძრავ ნივთებზე საკუთრების განკარგვის შემთხვევებს, ხოლო 312-ე მუხლის რეგულირების სფერო უფრო ფართოა და, ზოგადად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებებს მიემართება. ამასთან, სადავო ნორმები ნებისმიერი სასყიდლიანი გარიგების დადე-

ბისას იცავს კეთილსინდისიერ შემძენს. თუმცა სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა სადავო ნორმების იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა, რომელიც კეთილსინდისიერ შემძენს იცავს უძრავ ქონებაზე საბაზრო გარიგებების დადებისას, ანუ ისეთი ტრანზაქციებისას, რომელიც დადებულია ბაზრის ორ დამოუკიდებელ მონაწილეს შორის და რომლის ფარგლებშიც ორივე მხარე მოქმედებს საკუთარი ინტერესების საუკეთესოდ უზრუნველსაყოფად, სარგებლის მისაღებად.

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმების კონსტიტუციურობა შეაფასა თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით და მიუთითა, რომ სადავო ნორმები ემსახურება ღირებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, კერძოდ, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის, სიმარტივისა და სიიარსის უზრუნველყოფას. თუმცა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და სიმარტივის საჯარო ინტერესების გარდა, მოცემულ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი კერძო პირის ინტერესი. უძრავ ქონებაზე თავდაპირველი მესაკუთრის საკუთრების უფლებას უპირისპირდება კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესი. ამდენად, სადავო ქონებაზე სამართლებრივი პრეტენზია გააჩნია ორ კეთილსინდისიერ მხარეს. ამავე დროს, ნებისმიერი სამართლებრივი გადაწყვეტის პირობებში, ბუნებრივად, შეუძლებელია ორივე მხარის ინტერესის სრულყოფილად დაკმაყოფილება. შესაბამისად, ვინაიდან ინტერესების დაპირისპირება აუცილებელია, წარმოიშობა

მათი ჰარმონიზაციის, სამართლიანი დაბალანსების აუცილებლობა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ შეაფასა, რამდენად იყო დაცული ამგვარი ბალანსი შეზღუდულ უფლებასა და შეზღუდვის შედეგად დაცულ სამართლებრივ სიკეთეს შორის.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ კეთილსინდისიერი შემძენის დავალდებულება, უძრავი ქონების შეძენისას გადაამონტოს რეგისტრირებული მესაკუთრის უფლების გამომრიცხველი ყველა გარემოება, აზრს დაუკარგავდა როგორც საჯარო რეესტრის არსებობას, ასევე მნიშვნელოვან მსუსხავ ეფექტს იქონიებდა საკუთრების შეძენის პროცესზე. ამგვარი რეგულაციის არსებობის პირობებში საჭირო იქნება გარიგებების მთელი ჯაჭვისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მოძიება და შესწავლა, რაც, დამატებით ხარჯებთან და დროსთან არის დაკავშირებული. სადავო ნორმებით დადგენილი კეთილსინდისიერი შემძენის დაცვის გარანტიების არარსებობა ასევე გაზრდიდა ხარჯებს და რამდენადმე გაართულებს უძრავ ქონებაზე გარიგებების დადებას. ამავე დროს, კეთილსინდისიერი შემძენის სრულად დაუცველობის პირობებში ქონების პირვანდელ მესაკუთრეს ნაკლებად ექნებოდა ინტერესი, მისი საკუთრების სხვა პირზე არასწორად რეგისტრაციის შემთხვევაში მოეთხოვა ჩანაწერის შესწორება და წარედგინა სათანადო საჩივარი, რაც გაართულებდა საჯარო რეესტრში არსებული არასწორი ჩანაწერების აღმოჩენასა და აღმოფხვრას. შესაბამისად, სასამართლოს განმარტებით, რეგულაცია, რომელიც კეთილსინდისიერ შემძენს ანიჭებს

უპირატესობას ნივთის მესაკუთრესთან მიმართებით, არ არღვევს სამართლიან ბალანსს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ რეგულირება არ უნდა უწყობდეს ხელს შემძენის მხრიდან საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისწორის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას. კანონმდებელმა არ უნდა შექმნას ისეთი სისტემა, რომლის ფარგლებშიც შემძენს შეუძლია, უგულებელყოს მისთვის ცნობილი ინფორმაცია რეესტრის ჩანაწერის სისწორის საეჭვოობასთან დაკავშირებით. სასამართლოს პოზიციით, იმ პირობებში, როდესაც შემძენი ინფორმირებულია საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისწორეზე დავის არსებობის თაობაზე, მან უნდა გადაამოწმოს გამსხვისებლის უფლების ნამდვილობის შესახებ ინფორმაცია ან ატაროს საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობიდან მომდინარე რისკი. საჯარო რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის არსებობა მიუთითებს, რომ სადავო ქონების რეალურმა მესაკუთრემ მიიღო სათანადო ზომები საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის აღმოსაფხვრელად. სასამართლომ განმარტა, რომ კეთილსინდისიერი შემძენის დაცვის მიზანია ქონების ყიდვაზე ხელოვნური ბარიერების თავიდან აცილება, თუმცა კანონმდებლის მიერ შემოთავაზებულმა რეგულირებამ არ უნდა გამორიცხოვს ის მინიმალური, გონივრული გადაამოწმების ვალდებულება, რაც უძრავ ნივთებთან დაკავშირებით გარიგების დადებას ახლავს თან. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ შემძენის დაცვა და მისი კეთილსინდისიერად მიჩნევა უნდა გა-

მოირიცხოს იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს საჩივარი და, ამავდროულად, შემძენმა იცის ამის შესახებ. სასამართლომ ასევე განმარტა, თუ რას გულისხმობს რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ წარდგენილი საჩივარი და მიუთითა, რომ ეს შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციული დავა რეესტრის ჩანაწერის არასწორად განხორციელებაზე ან ბ) სამოქალაქო დავა უძრავი ქონების საკუთრების შესახებ.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით დადგენილი რეგულირება განსხვავდება 312-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესისაგან. სსკ-ის 185-ე მუხლი საკუთრების უფლების შემძენზე გადასვლის ერთადერთ დამაბრკოლებელ გარემოებად ადგენს შემძენის მიერ იმის ცოდნას, რომ გამსხვისებელი არ არის მესაკუთრე, აქედან გამომდინარე კი რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ საჩივრის არსებობის შესახებ ცოდნა არ აბრკოლებს შემძენის კეთილსინდისიერად მიჩნევას, შესაბამისად კი, მასზე საკუთრების უფლების გადასვლას. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა 185-ე მუხლის დამოუკიდებლად გამოყენების შესაძლებლობა და პირის კეთილსინდისიერად მიჩნევის რისკი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მან იცოდა, რომ რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ შეტანილი იყო საჩივარი. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებით, როდესაც შემძენი ინფორმირებულია რეესტრის ჩანაწერის სისწორის შესახებ დავის თაობაზე, მან უნდა გადაამოწმოს უფლების ნამდვილობის შესახებ ინფორმაცია და თავად ატაროს ჩა-

ნაწერის გაბათილებასთან დაკავშირებული რისკი.

სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი იმაზე მეტ შემთხვევაში იწვევდა მესაკუთრის მიერ საკუთრების უფლების დაკარგვას, ვიდრე ეს ობიექტურად აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა მისი იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურობა, რომლის თანახმადაც, „გამსხვისებე-

ლი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში“, მათ შორის იმ შემთხვევაში, როდესაც რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ შეტანილია საჩივარი და ეს ფაქტი მყიდველისათვის ცნობილია.

გადაწყვეტილებას თან ერთვის მოსამართლეების - გიორგი კვერენჩილაძის, ირინე იმერლიშვილის და მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი.

„საქართველოს კარლამენტის წევრთა ჯგუფი(დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეკუტატი), საქართველოს მოქალაქეები - ერასტი ჯაკობია და კარინე შახკარონიანი, საქართველოს მოქალაქეები - ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამაღბეგიშვილი და სხვები, აბრეთვე, საქართველოს კარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, ბიორბი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, კეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეკუტატი) საქართველოს კარლამენტის წინააღმდეგ“
№3/5/768,769,790,792, 2016 წლის 29 დეკემბერი

2016 წლის 29 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება №768, 769, 790, 792 (საქართველოს პარლამენტართა და საქართველოს მოქალაქეთა ჯგუფი) კონსტიტუციურ სარჩელებზე და არაკონსტიტუციურად ცნო „საქართველოს საკონსტიტუციო

სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში: „ორგანული კანონი“) მე-18 მუხლით დადგენილი წესი, რომელიც ითვალისწინებდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას 10-წლიანი ვადის გასვლისთანავე. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტი-

ტუციურად მიიჩნია უფლებამოსილების შეწყვეტა იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი სახელმწიფო ორგანო კანონით დადგენილ ვადაში არ ანაცვლებს მოსამართლეს და ეს, საქმის განხილვისათვის საჭირო კვორუმის არარსებობის გამო, შეუძლებელს ხდის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უფლებამოსილების განხორციელებას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ასეთ ვითარებაში სადავო ნორმა საფრთხეს შეუქმნიდა საკონსტიტუციო სასამართლოს როგორც ინსტიტუტის ფუნქციონირებას.

სასამართლოს გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად გამოცხადდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც ადგენდა პლენუმის სრული შემადგენლობის უმრავლესობის თანხმობის საჭიროებას კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად და მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესი, რომელიც ორგანული კანონის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ საქმეებზე კონსტიტუციური სარჩელის დასაკმაყოფილებლად აწესებდა პლენუმის 6 წევრის თანხმობის საჭიროებას. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ობიექტურ, მიუკერძოებელ განმარტებას და მისი მიღების კონსტიტუციური სტანდარტია გადაწყვეტილების მიღება დამსწრეთა უმრავლესობით. იმავდროულად, კანონმდებლობით შესაძ-

ლოა დადგინდეს გარკვეული გამონაკლისი სისტემურ კონსტიტუციურ სამართლებრივი მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან, კონსტიტუციის შესაბამისად იქნა მიჩნეული „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც გარკვეული კატეგორიის საქმეების განხილვის უფლებამოსილებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის სხდომას ესწრება 7 წევრი.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების უფლებამოსილებას ანიჭებდა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს, ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რადგან ამ საკითხის განხილვა ხორციელდებოდა ფაქტობრივად ორჯერ - პლენუმისა და კოლეგიის მიერ, რაც აჭიანურებდა საკითხის გადაწყვეტას და, შესაბამისად, ეჭვქვეშ აყენებდა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ეფექტურობას.

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესი, რომელიც ითვალისწინებდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სრული ტექსტის სხდომათა დარბაზში გამოცხადების ვალდე-

ბულებას. სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმა გაუმართლებლად, არაგონივრულად აფერხებდა სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლას და, ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით პირის უფლების დროულად დაცვის შესაძლებლობას. ამავე დროს, კონსტიტუციის შესაბამისად იქნა მიჩნეული კანონის მოთხოვნა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სრული ტექსტის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე დაუყოვნებლივ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა არაკონსტიტუციურად ცნო „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის 5³ პუნქტი, რომელიც კრძალავდა ერთი და იმავე პირის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის თანამდებობების ხელმეორედ დაკავებას. ასევე, არაკონსტიტუციურად გამოცხადდა 2016 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესი, რომლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება ხდებოდა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეთანხმებული წინადადებით. ზემოაღნიშნული ნორმები საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების

არაგონივრულ შეზღუდვად და საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებელ საქმიანობაში გაუმართლებელ ჩარევად.

საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის შესაბამისად მიიჩნია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21¹ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესი, რომელიც ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის წევრის უფლებამოსილებას, დააყენოს შეამდგომლობა საქმის პლენუმზე განსახილველად გადაცემის თაობაზე. ასევე, კონსტიტუციის შესაბამისად იქნა მიჩნეული „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის უფლებამოსილებას აკუთვნებს ორგანული კანონის კონსტიტუციურობის საკითხის განხილვას. გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი, მისი შემადგენლობისა და კომპეტენციების გათვალისწინებით, წარმოადგენს მნიშვნელოვანი საკითხების განმხილველ უმაღლესი კვალიფიკაციის სასამართლო ერთეულს და მისთვის ორგანული კანონის კონსტიტუციურობის საკითხების განხილვის კომპეტენციის მინიჭება შესაბამება კონსტიტუციას.

გადაწყვეტილებას თან ერთვის საკონსტიტუციო სასამართლოს ორი წევრის განსხვავებული აზრი. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა ირინე იმერლიშვილმა და მათა კოპალეიშვილმა გამოთქვეს განსხვავებული აზრი საკონსტიტუციო სასამართლოს

გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც არაკონსტიტუციურად გამოცხადდა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის თანამდებობის ხელშეორედ დაკავების ამკრძალავი წესი. ამასთან, მოსამართლე მათა კოპაღეიშვილმა გამოთქვა განსხვავებული აზრი საკონსტიტუციო სა-

სამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც კონსტიტუციის შესაბამისად იქნა ცნობილი ის ნორმა, რომელიც კოლეგიის წევრს აღჭურავს უფლებამოსილებით იშუამდგომლოს საქმის პლენუმზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.